გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 56
(11 818)

16 – 19 ივლისი, 2004 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:


- ცურვაში ჩემპიონატი დაგვიბრუნდა
- ათაბეგ ჯაყელის გმირობა
- მიხეილ მესხის გაცილების გახსენება
- ბორის სიჭინავა „იმერულ ესკიზებში"
- მილუტინოვიჩი გააძევეს
- რეპორტაჟი - „ტურისტობიდან" საბერძნეთის ეროვნულ გმირამდე
- ჩემპიონი გახდა და... თავად გაუკვირდა
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი


# 5-0 შურისძიებაა, მაგრამ უკმარისი



ფოტო ლევან მახაზიშვილისა

3

## თავხედებს უნდა ვანანოთ!

იმან, რაც ფარერელებმა ჩვენს ეროვნულ სტადიონზე საწვრთნელ ვარჯიშზე მატჩის წინა დღეს ჩაიდინეს, საქართველოში საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. არ დავმალავთ, ბევრმა დარეკა რედაქციაში მოთხოვნით – უზნეო სტუმრებთან სათამაშოდ არ გასულიყვნენ ჩვენი ფეხბურთელები, გვეზრუნა საკუთარი ღირსების შენარჩუნებაზე. იყო მუქარაც – თუ მატჩი შედგება, სტუმართმოყვარეობას არაფრად დაგიდევთ და სტადიონის წამბილწავებს ტრიბუნებს თავს დავამტვრევთო.

თუმცა, ჩვენმა გუნდმა სამაგიერო დიდი ანგარიშით მოგებით გადაუხადა მეტოქეს, ყველაფერი ამით არ უნდა დამთავრდეს – აუცილებელია მომხდარის შესახებ ვიდეომასალა გადაეგზავნოს ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებს მკაცრი პოზიციის დაფიქსირებით.

„რა იყო საწყენი, ყველაფერი ალბათ იმის ბრალია, სხვადასხვა კულტურის ხალხი რომ ვართ" – განაცხადა ფარერელთა მოთამაშემწვრთნელმა ფერნანდესმა. კი მაგრამ, როგორ გავიგოთ ეს ნათქვამი, ჩვენ ვართ დაბალი კულტურის თუ ისინი? თანაც: „თუ ეროვნული სტადიონი თქვენთვის ასე ძვირფასია, ბოდიშს მოვიხდითო". ამაზე მეტი ცინიზმი რაღა იქნება.

არა, თუ თავმოყვარე ხალხი ვართ და ღირსება შეგვრჩენია, თავხედებს უნდა ვანანოთ!

მიმომხილველი

16-18 ივლისი 2004 წ.

# დევისის თასი

DAVIS CUP by BNP PARIBAS

# საქართველო – ეგვიპტე

## ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფი

| საქართველო: | დაბ. თარ. | რეიტ. |
|---|---|---|
| 1. ირაკლი ლაბაძე | 09.06.81 | 42 |
| 2. ირაკლი უშანგიშვილი | 09.02.82 | 752 |
| 3. ლადო ჩიხლაძე | 15.06.85 | 1284 |
| 4. დავით კვერნაძე | 02.01.86 | – |
| 5. გელა ელერდაშვილი – გუნდის კაპიტანი | | |
| ეგვიპტე: | | |
| 1. ქარიმ მაამოუნი | 18.11.79 | 622 |
| 2. მუჰამედ მაამოუნი | 15.10.81 | 770 |
| 3. ამრო გონეიმი | 18.03.74 | 1101 |
| 4. ომარ ჰედაიეტი | 21.09.85 | – |
| 5. კარიმ ბალი – გუნდის კაპიტანი | | |

**მატჩის კომისარი** რობერტო რანიერი – იტალია; **მსაჯები:** სერგეი დუბროვი – ბელორუსია, ანდრეი გარიბიანი – რუსეთი.

**მატჩის დასაწყისი:** 16 ივლისი. 12.00. – ორი ერთეულთა მატჩი. 17 ივლისი. 12.00 – გუნდების წარდგენის ცერემონია. 12.30 – წყვილთა მატჩი. 18. ივლისი. 12.00 – ერთეულთა მატჩები.

საერთაშორისო სპონსორები: BNP, PARIBAS, HUGO BOSS, KIA MOTORS, ADECCO, GETRONICS, FOSSIL, NH HOTELES. ადგილობრივი სპონსორები: PSP ჯგუფი, GMC ჯგუფი.

მატჩის ჩატარებას მასპინძლობს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია, ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია, ქ. თბილისის მერია, მერიის კულტურისა და სპორტის სამსახური.

ქვედა სურათზე – კენჭისყრის მომენტი
ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.



საქართველოს ნაკრები. მარჯვნიდან პირველი გელა ელერდაშვილი – კაპიტანი.



ეგვიპტის ნაკრები. მარცხნიდან პირველი კარიმ ბალი – კაპიტანი.




# ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა

### ევროტურნირებში სამივე ქართულმა გუნდმა პირველ მატჩებში წარმატებას მიაღწია

**უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი**
**თბილისი. 15 ივლისი. სტადიონი „ლოკომოტივი". 10 000 მაყურებელი.**
**„თბილისი" (საქართველო) – შამქირი (აზერბაიჯანი) 1-0**

**თბილისი:** დევაძე, ლოლაძე, ორბელაძე, გ. ნუგ. ჰელიძე, ხოჯავა (ფიფია 60), აფციაური, მიქაძე, ოდიკაძე (ჯიქია 66), გეწაძე (ელიავა 69), ქემოკლიძე, გოგიტა გოგუა.

**შამქირი:** იუსუფოვი, ვალიევი, ჯაბაროვი, მამადოვი, ჰინჰარაული, ახმადოვი, მარდანოვი, ალიევი (ესანგი 90), ჰასანოვი (კულიკოვი 66), ჰუსეინოვი, ასადოვი.

**გოლი:** 1-0 ჰელიძე (34).

78-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა მიქაძემ.

**გააფრთხილეს:** ახმადოვი (10), ჯაბაროვი (28), ლოლაძე (43), ჰუსეინოვი (59), იუსუფოვი (90).

**მსაჯები:** ა. ჩიკუნი, ვ. კალინოვსკი, ს. ზუკი, ი. კუნცევიჩი (ყველა – ბელარუსი).

**უეფას დელეგატები:** დ. მარავიჩი (სერბეთი), დ. მატოვინოვიჩი (ხორვატია).

### უკეთაც შეიძლებოდა

ერთი წლის ჩამოყალიბებულ „თბილისს" პირველი ევროპული გამოცდის ჩაბარება „შამქირთან" მოუწია. ჩვენები ამ ბარიერის გადალახვას უპრობლემოდ აპირებდნენ, მაგრამ როგორც თამაშმა აჩვენა, საბოლოოდ ეს არცთუ ისე ადვილი შესაძლებელი იქნება. „თბილისმა" შემადგენლობა შეინარჩუნა, თან რამდენიმე ძლიერი მოთამაშითაც გაძლიერდა. თუმცა, ეტყობოდა, რომ ფორმის „პიკზე" ნამდვილად არ იყო. მეზობლებს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. განსაკუთრებით ეს მათ მეკარეზე ითქმის, რომელმაც მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზიც დაიმსახურა. დასწრება უფასო იყო და სტადიონზე მაყურებელიც მრავლად მოვიდა.

UEFA
UEFA CUP

შეხვედრა საკმაოდ დუნედ დაიწყო. თუმცა, მასპინძელთა უპირატესობა ნელ-ნელა გამოიკვეთა. ანგარიშის გახსნის კარგი შანსი მიეცა ხოჯავას, მაგრამ მისი მცდელობა თავზე გადაეგდო ბურთი მეკარისათვის, უშედეგოდ დასრულდა. 34-ე წუთზე „შამქირის" საჯარიმოში არეულობით ისარგებლა ჰელიძემ და „თბილისისთვის" ევროტურნირებში პირველი გოლიც გაიტანა.

მეორე ნახევარში სტუმრები გააქტიურდნენ. ალიევს მიეცა ანგარიშის გათანაბრების კარგი შანსი, მაგრამ ლოლაძემ იყოჩაღა და ფეხებში ვარდნით კუთხურზე მოიგერია ბურთი. სტუმართა იერიშების ჩასახშობად დევდარიანმა ცვლილებებს მიმართა. ინიციატივა კვლავ „თბილისმა" იგდო ხელთ.

74-ე წუთზე სტუმრები ისევ გადარჩნენ. მიქაძემ ბოლომდე იბრძოლა ბურთისთვის. კარგადაც დაარტყა, მაგრამ სტუმრები ხარიხამ იხსნა. მატჩის მიწურულს მეტოქის მცველს ბურთი ხელზე მოხვდა საჯარიმოში. თერთმეტმეტრიან ნიშნულთან მიქაძე მივიდა, მაგრამ ბურთი იუსუფოვმა მოიგერია. ამის მერე „თბილისი" მორალურადაც გატყდა. მხსნელად გამოცდილი კიპერი დევაძე იქცა, რომელმაც მატჩის მიწურულს რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია.

საეჭვოა, ასეთი თამაშით სტუმრად „თბილისმა" აზერბაიჯანელთა ბარიერი გადალახოს.

ბიორბი ჩუბინიძე

**უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი**
**ბორისოვო. 15 ივლისი.**
**„ბატე" (ბელარუსი) – დინამო (თბილისი, საქართველო) 2-3**

**გოლები:** 1-0 ზემნოვი (15), 2-0 სტრახანოვიჩი (პ. 18), 2-1 კაკალაძე (45), 2-2 გონჩაროვი (55), 2-3 რომერო (89).

### სასიამოვნო, მოულოდნელი

თბილისელებმა საკუთარ თავს აჯობეს და თითქოს განწირული მატჩი გამარჯვებით დაასრულეს. „დინამომ" სამი წლის წინანდელი მარცხისთვის ბელარუსებს სრული რევანში აუღო. ასეთ სასწაულს ქართველებისგან არავინ ელოდა. მით უმეტეს, ორბურთიანი პასივის გაბათილებას. მაგრამ სლავთა ქვეყნიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა, „დინამომ" მოიგო და კლუბის ისტორიას კიდევ ერთი დასამახსოვრებელი ფურცელი შეემატა. მატჩამდე აშკარა ფავორიტად მაინც მასპინძლები მიიჩნეოდნენ და შეხვედრის კატასტროფული დასაწყისი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა, მაგრამ... ჩვენებურებმა არათუ პრესტიჟის გოლი გაიტანეს, გაათანაბრეს კიდეც ანგარიში, მატჩის მიწურულში რომელიც გამარჯვების გოლიც გაიტანა და თავისიანთა თავდადებას, ვაჟკაცურ გარჯას და ღირსების გრძნობას მადლიანი წერტილი დაუსვა. ერთი ღირსსახსოვარი ბრძოლა მოგებულია. წინ საპასუხო მატჩია ეროვნულზე და ორ კვირაში დიდებულ დასაწყისს, ასეთივე შთამბეჭდავი დასასრული სჭირდება.

**უეფას თასი. სხვა მატჩები:** შირაქი – ტირასპოლი 1-2, ბისტრიცა – ყარაბახი 3-0, ეკრანასი – დუდელანჟი 1-0, ჰაკა – ეტცელა 2-1, ლევადია – ბოჰემიანსი 0-0, ნისტრუ – შახტიორი 1-1, პარტიზანი – ბირკირკარა 4-2, მიკა – ჰონვედი 0-1, ილიჩევეცი – ბანანცი 2-0, ომონია – სლოგა 4-0, ოსტერსი – ტნს 2-0, ოცელული – დინამო (ტირანა) 4-0.

# განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური აკადემია **სეოკ-ის** დაფუძნების 15 წლისთავის და საქართველოს ოლიმპიური ფესტივალის პროგრამით, 2004 წლის ოქტომბრის თვეში აწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას თემაზე „ოლიმპიზმი, ოლიმპიური განათლება და ბავშვთა და მოზარდთა სპორტი".

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებს ვთხოვთ, მოხსენებათა თეზისები წარმოადგინონ საორგანიზაციო კომიტეტში 2004 წლის 15 სექტემბრისთვის.

საკონტაქტო პირები – სეოკ-ში (დ. აღმაშენებლის 65) დ. კინწურაშვილი, ტელ.: 95 36 87. ოლიმპიურ აკადემიაში (სპორტის აკადემია, ი. ჭავჭავაძის 49) ლ. აფციაური, ტელ.: 29 37 99, 8 77 44 33 31.

საორგანიზაციო კომიტეტი

# ზესტაფონმა იმერულად უმასპინძლა




ზესტაფონში ქართულ ჭიდაობაში დასავლეთ საქართველოს ზონალურ პირველობაზე შეიკრიბნენ ფალავნები: ქუთაისიდან, თერჯოლიდან, ზუგდიდიდან, ზესტაფონიდან, სამტრედიიდან, ლანჩხუთიდან, ჭიათურიდან, ცაგერიდან, ხარაგაულიდან, ლენტეხიდან, ვანიდან, საჩხერიდან, ტყიბულიდან და ოზურგეთიდან. სულ საჭიდაო ხალიჩაზე თავი მოიყარა 100-ზე მეტმა მონაწილემ. ცნობილია, რომ ქართული ჭიდაობა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში უფრო პოპულარულია. თუმცა, ზესტაფონში გამართულმა ტურნირმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ეროვნული საუნჯის ტალანტები საქართველოს ნებისმიერ მხარეში მოიძებნებიან...

ზესატაფონში მოღვაწეობდა წარსულში ცნობილი ფალავანი, მიშიკო მაჩაბელი (ციმაკურიძე), ზესტაფონელია მსოფლიოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მიხეილ სალაძე და ხალიჩის სხვა ოსტატები, 1980 წლის საქართველოს ფალავანი ქართულ ჭიდაობაში და სსრ კავშირის ჩემპიონი ძიუდოში გიორგი გაჩეჩილაძე და სხვ.

დასავლეთ საქართველოს ზონალურმა პირველობამ ზესტაფონში უშეღავათო პაექრობაში ჩაიარა. ტურნირს ადგილობრივი სპორტისა და რაიონის მესვეურთა ყურადღება არ დაჰკლებია. შეჯიბრებას ბევრი ცნობილი ვეტერანი მოჭიდავეც დაესწრო, მათ შორის ქართული ჭიდაობის ხელმძღვანელი, საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გურამ სალარაძე, სსრკ ჩემპიონი ესტატე გოგლიჩიძე, სსრკ პრიზიორი ჟორა სინაურიძე, საქართველოს ფალავანი ქართულ ჭიდაობაში სიმონ მაისურაძე, მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის ძიუდოში ნიკა წაქაძე, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლები და სხვები.

დასავლეთ საქართველოს ზონალურ ტურნირში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: 55 კგ – სოსო ჭოლაძე, 60 კგ – გიორგი შვანგირაძე (ორივე – ქუთაისი), 65 კგ – უჩა ხუციშვილი (ჭიათურა), 70 კგ – თემურ ცინცაძე (ქუთაისი), 75 კგ – გიორგი მაღლაკელიძე (ხარაგაული), 80 კგ – გიორგი ქაცარიძე (ზესტაფონი), 90 კგ – დავით სინაურიძე (ქუთაისი), +90 კგ – რატი ფერაძე (ზესტაფონი).

24-25 ივლისს თბილისში (დიღომში) გაიმართება საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში, სადაც საასპარეზოდ გამოვლენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზონალური პირველობების პრიზიორები.

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებულები, ორგანიზატორები, სტუმრები.



# ცურვაში ეროვნული ჩემპიონატი დაგვიბრუნდა

სპორტი რომ გაახალგაზრდავდა, ყველამ კარგად იცის, განსაკუთრებით ეს ითქმის ცურვაზე და ტანვარჯიშზე. დღეს უკვე სპორტის ამ სახეობებში, კერძოდ კი ცურვაში, მეცადინეობს თაობა, რომელსაც არათუ მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, არამედ, ასეთი ასპარეზობის შესახებ დღემდე არც კი სმენოდათ რაიმე. დღემდეო, სიმბოლურად ვამბობთ, თორემ პრაქტიკულად 14-15 წლის შემდეგ პირველად ამ დღეებში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ცურვაში, რომელშიაც არცთუ სამარცხვინო რაოდენობა – 108 სხვადასხვა ასაკის სპორტსმენი მონაწილეობდა. მოკლედ, ტრადიცია აღსდგა და ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ეროვნულ ფედერაციას (პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი).

ისტორიისთვის საყურადღებო ის არის, რომ აღდგენილ ჩემპიონატზე „ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსში თავი მოიყარა თბილისის მერიის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის ოლიმპიური მზადების ცენტრის (ომც), შპს „სპექტრის", ბათუმის, გორის და რუსთავის წარმომადგენლებმა. საგულისხმოა, რომ თბილისის შპს „სპექტრის" მოცურავეები პირველად გამოჩნდნენ ცისფერ ბილიკებზე. საიდან, როგორ? „სპექტრს" თურმე გააჩნია პატარა საცურაო აუზი, აიყვანეს მწვრთნელი დათო გელაშვილი და გახსნეს სექცია. ბათუმში კი, მართალია, საცურაო აუზებს ადრინდელი ხელმძღვანელები არ სწყალობდნენ (მარტო სამი საწყლოსნო სადგური გააუქმეს), აუზები დახურეს, გაასხვისეს, შეუცვალეს ფუნქცია ტერიტორიას, მაგრამ ბათუმშიც გამოჩნდა კაცი, რომელიც კერძო დეკორატიული აუზის მფლობელია და აღადგინა ისტორიული სამართლიანობა (საქართველოში ცურვის მასობრივი დანერგვა აჭარაში დაიწყო და ბათუმმა უმასპინძლა საქართველოს პირველ ჩემპიონატს), ბათუმში კვლავ გაჩნდნენ მოცურავეები. წლევანდელ ჩემპიონატში 7 მოცურავე გამოდიოდა ბათუმიდან. ამდენივე – რუსთავიდან, „სპექტრიდან" – 10, ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლიდან 60, ომც-დან – 7 და ა.შ.

სპორტულ შედეგებზე, რომელიც ცხადია, არ იყო შესამჩნევად მაღალი, უფრო მეტი მნიშვნელობა ჩემპიონატის აღდგენის ფაქტს ჰქონდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყინულმა დნობა დაიწყო. უკვე დადგა დრო მივხედოთ საცურაო აუზებს, ძველი აღვადგინოთ, ახალი ავაშენოთ, მაგრამ ეს ცალკე საგაზეთო თემაა, რომელსაც მომავალში აუცილებლად დავუბრუნდებით.

## ლელო — მატიანე
## 50 წლის წინათ...

**ქუთაისი.** დამთავრდა სასკოლო შეჯიბრება ფეხბურთში. გამარჯვება მოიპოვა ქალაქის ვაჟთა I საშუალო სკოლამ.

**სიღნაღი.** 1954 წლის ფრენბურთელთა პირველობაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა სიღნაღის საშუალო სკოლის გუნდმა. ქალთა გუნდებს შორის – პედაგოგიური სასწავლებლის კოლექტივმა.

**ხულო.** საშუალო სკოლაში ჩატარდა შიდასასკოლო პირველობა კალათბურთში. პირველ ადგილზე გავიდა X კლასის კალათბურთელთა გუნდი.

**თბილისი.** ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა საქართველოს 1954 წლის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. 1954 წლის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა ელისო კაკაბაძემ.

**ბორჯომი.** დამთავრდა რაიონის მოსწავლე ფეხბურთელთა შეჯიბრება. პირველ ადგილზე გავიდა ბორჯომის ვაჟთა საშუალო სკოლა.

ც. ბაძრაძე

# „მე არ გავხდები სპარსელი"

## წერილი ეძღვნება ყვარყვარე ათაბაგის გამარჯვებას ხონთქარის წაუქცეველ ფალავანზე

თითქოს ბედის ირონია იყო. ნუთუ ასეთი ბედუკუღმართი მომავალი ელოდა რუსთაველის მადლიან მხარეს. ნუთუ ამის ღირსი იყო გიორგი და ექვთიმე ათონელების, ჩახრუხაძის, შავთელის, სარგის თმოგველის, ძმები ოპიზარების და მრავალი სხვა გამოჩენილი ადამიანების სამშობლო? ნუთუ საუკუნეების მანძილზე ამისათვის იქმნებოდა უკვდავი ლიტერატურული ქმნილებანი, ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები, ძვირფასი საგალობლები? თითქოს ოხრავდნენ და მოთქვამდნენ შატბერი და ვარძია, აწყური და ხახული, ხერთვისი და კუმურდო!

საღამოს ძმები ჯაყელები მათთვის განკუთვნილ რეზიდენციაში შეხვდნენ ერთმანეთს. მანუჩარის ულირსი გადაწყვეტილებით აღშფოთებული ყვარყვარე ხმას არ იღებდა. ოთახში სიჩუმეს დაესადგურებინა. ხანგრძლივი დუმილი ისევ ყვარყვარემ დაარღვია. „გონს მოდი, მანუჩარ, – უთხრა ძმას, ჯერ კიდევ არ არის გვიან. მესხ წინაპართა სისხლით მორწყულ მიწა-წყალს ასეთი ღალატი არ ახსოვს. რა პირით დაბრუნდები შინ? ვინ გაგიგებს ურჯულოს? ხალხი დაგწყევლის, აღარ გამოგყვება, მაწყვერელი ახლოსაც არ გაგეკარება, შეგაჩვენებს, მრევლისაგან მოკვეთილად გამოგაცხადებს. ნუთუ მეჩეთებად უნდა იქცეს წუნდა და ოშკი, ოპიზა და ბანი, კუმურდო, საფარა", – ბუბუნებდა მხურვალე მამულიშვილი.

ტახტზე წამოწოლილი მანუჩარი ფიქრების ზღვაში ჩაძირულიყო, მისთვის სხვა არაფერი არსებობდა თუ არა განდიდება, აღზევება. იგი ხვალინდელ დღეზე უფრო ფიქრობდა და სრულებითაც არ აწუხებდა ქრისტეს რჯულის დაგმობა. როცა ყვარყვარემ მოღალატე ძმისაგან პასუხი ვერ მიიღო, აღელვებული მივარდა მას და სილა გააწნა. მანუჩარი გამოფხიზლდა, ბრაზით აენთო, ფერდაკარგულმა იარაღისაკენ გაიწია. ხმაურზე მესხი აზნაურები რომ არ შემოვარდნილიყვნენ, შორეულ სტამბოლის მიწაზე ძმათა სისხლი დაიღვრებოდა. გაცოფებული ძმები მესხმა მხლებლებმა დააშოშმინეს, დააშვიდეს, მაგრამ დაკოდილ გულს რაღა გაამთელებდა! სამუდამოდ ფარული მტრობა ჩამოვარდა ღვიძლ ძმებს შორის.

მეორე დღეს სულთნის ბრძანებით დიდი ზეიმი გაიმართა. ბრწყინვალე პორტას სატახტო ქალაქის მცხოვრებლებმა, სულთნის მრავალრიცხოვანმა სტუმრებმა იცოდნენ, რომ ამაყი გურჯი ტოვებდა ქრისტიანობას და მაჰმადიანი ხდებოდა. საზეიმოდ მორთულ სასახლის დარბაზს ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები და თურქი დიდებულები ამშვენებდნენ.

თურქეთის მბრძანებელს სახეზე საზეიმო იერი დაჰკრავდა. საპატიო სტუმრები მურად მესამეს ულოცავდნენ ურჩი და ჯერ კიდევ დაუპყრობელი სამცხე-საათაბაგოს ბედის მის სასარგებლოდ შემოტრიალებას. საზეიმო ცერემონიალზე ქართველი დიდებული ფაშად აკურთხეს. ამიერიდან მანუჩარს ეწოდა მუსტაფა ფაშა ჯაყელი. ახალი გამგებელი სამცხე-საათაბაგოსი. უფრო სწორად, პირველი გამუსულმანებული ქართველი და პატრონი დიდი რუსთაველის მხარისა.

ამიერიდან სამცხე-საათაბაგოს უნდა შეცვლოდა სახელი და საფაშო დარქმეოდა.

საზეიმო ცერემონიალი მიილია. მურად მესამემ ინება მოედანზე გასვლა, სადაც ჭიდაობა უნდა გამართულიყო. „საჭიდაო არენას" ზღვა ხალხი მიაწყდა, ყველას აინტერესებდა სულთნის საყვარელი ფალავნის გამოსვლა, რომლის წამქცევი ჯერ არავის ენახა არა მარტო თურქეთში, არამედ, მეზობელ მაჰმადიანურ ქვეყნებშიც. ფიზიკური აღნაგობაც ხელს უწყობდა თურქ ფალავანს. მთა კაცი საშინელი ძალის პატრონი იყო. მას არც სისწრაფე აკლდა, არც მოქნილობა და, ბუნებრივია, ღრმად იყო დარწმუნებული საკუთარ ძალაში.

როცა სულთნის საყვარელმა ფალავნმა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მეშვიდე მეტოქე ლავაშივით გააკრა ხალიჩას, გამარჯვებულის იერით, მედიდურად ირონიული სახით დაიწყო წინ და უკან სიარული. შემდეგ მზერა მურად მესამეს მიაპყრო, თითქოს ითხოვდა ერთი ღირსეული მეტოქე გამომინახეო.

თურქეთის გამგებელმა, რომელსაც სხვა დიდებულებთან ერთად მუსტაფა ფაშა ჯაყელიც ამშვენებდა და საკუთარი ფალავნის გამარჯვებათა სერიალით აღფრთოვანებული სიხარულს ველარ მალავდა, თითქოს უსიტყვოდ გაუგო საყვარელ ფალავანს და მზაკვრული მზერა გურჯებზე გადაიტანა „ქართველები ძლიერი, მამაცი, მეომარი ხალხია – გაიფიქრა სულთანმა – იქნებ გაბედონ და რომელიმე შეერკინოს ჩვენს ფალავანს." მურად მესამემ მზერა ყვარყვარეს დაადგა. სხვებთან შედარებით მესხთა ბატონიშვილი უფრო ახოვანი და ტანადი ვაჟკაცი ჩანდა.

სულთანმა ოდნავი ირონიული ღიმილით და თან ბრძანების კილოთი იხმო ურჩი, მოუდრეკელი გიაური. თურქეთის მბრძანებელს ჯერაც ვერ მოენელებინა ყვარყვარეს უარი რჯულის შეცვლაზე. ახლა მურად მესამე სამაგიეროს გადახდას უპირებდა ქართველ მამულიშვილს სახალხოდ. ათასი რჯულისა და ჭკუის ხალხის წინაშე და ამით განა მარტო მესხთა ბატონიშვილს შეარცხვენდა სულთანი.

„ჩემს ფალავანს დაეჭიდე. თუ გაიმარჯვებ, ცოცხალი დარჩები და სამშობლოში დაბრუნდები, თუ არა, ერთსაც დაკარგავ და მეორესაც". – უთხრა სულთანმა ყვარყვარეს.

ათაბაგების ნაშიერი სულთნის ასეთ გამომწვევ და მზაკვრულ წინადადებას არ მოელოდა. თუმცა, ყვარყვარემ სწრაფად გაიაზრა, რომ თურქეთის მბრძანებელს მისთვის სამაგიეროს გადახდა სურდა. უფრო სწორად, უნდოდა, რომ საჯაროდ შეერცხვინა სახელოვანი მამულიშვილი. ის ოდნავ შეყოვნდა, წამით ჩაფიქრდა, მცირე დუმილის შემდეგ თანხმობა განაცხადა და სამზადისს შეუდგა.

ყვარყვარეს თვალწინ წარმოუდგა ყმაწვილკაცობის პერიოდი. სრულიად პირტიტველა ჭაბუკებს, ექვსივე ძმას, ყვარყვარეს, მანუჩარს, თვალმშვენიერს, საბა-იანქოს, ვასილს და ბექას – მამა, ქაიხოსრო ათაბაგი, სასახლეში არკინებდა.

საქორწინო თუ სხვა საზეიმო სუფრა ათაბაგების სასახლეში არ ჩაივლიდა შერკინების გარეშე. ყველას ყვარყვარე სჯობდა. საარაკო ძალასა და სისწრაფესთან ერთად ქართული ჭიდაობის ღრმა ცოდნაც ხელს უწყობდა მესხთა ბატონიშვილის გამარჯვებებს. ერთხელ ქაიხოსრო ათაბაგს ფრიად საპატიო სტუმარი, ქართლის მეფე დიდი სვიმონი ესტუმრა, რომლის სახელის გაგონებაც კი ძრწოლას ჰგვრიდა ურჯულოებს. სწორედ მაშინ ისახელა თავი ყვარყვარემ. ბეჭებზე დასცა რამდენიმე მოწინააღმდეგე და აღფრთოვანებულმა სვიმონ მეფემ ოქროსტარიანი ხმლით დააჯილდოვა ყვარყვარე ჯაყელი. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. კარგა ხანი იყო, რაც არ ეჭიდავა მესხთა ბატონიშვილს. არადა, სხვა გზა არ იყო! რჯულშეცვლილ ძმასავით ხომ ვერ უღალატებდა სამშობლოს და ზურგს ვერ უჩვენებდა მეტოქეს. ზურნის ჭყვიტინმა და დოლის ბრაგუნმა გამოაფხიზლა, მოსასხამი მხლებელ აზნაურებს მიუგდო, ჩოხაც გაიხადა, ქამარი წელზე მოირგო, პირჯვარი გადაისახა, ქრისტე ღმერთი ახსენა და არენაზე გავიდა. ხალხი გამოცოცხლდა, აღტაცება ვეღარ დამალა, როცა საჭიდაოდ გამოსული ახოვანი გურჯი იხილა.

ყვარყვარეს გამოჩენამ მუსტაფა ფაშა აალელვა. მართალია, უფროს ძმას წაართვა ძალაუფლება და ძმებს შორის რთული, დაძაბული ურთიერთობა შეიქმნა, თითქოს სისხლი სისხლისკენ ეწეოდა, სადღაც გულის სიღრმეში ძმის გამარჯვების სურვილიც გაუჩნდა. უმალ ნერვები დაიმორჩილა, საკუთარ სულში ჩაიხედა და წამსვე აწონ-დაწონა შექმნილი ვითარება.

ყვარყვარემ რომ გაიმარჯვოს, – ფიქრობდა რჯულშეცვლილი მანუჩარი, ქრისტიანი და გამარჯვებული დაბრუნდება სამშობლოში. ამას გაიგებს ხალხი და კიდევ უფრო შეიყვარებს. კიდევ უფრო მეტი პატივისცემით მოეპყრობა ეკლესია ქრისტიან ძმას. მაშინ კი ჩემი სახელი და ავტორიტეტი შეირყევა, დაეცემა. არა, სჯობს ისევ ყვარყვარე დამარცხდეს. სულთანი თავის სიტყვას აასრულებს და დაუმორჩილებელი ყვარყვარე ქრისტიანობასაც დაჰკარგავს და სამშობლოსაც.

ერთი სიტყვით, მუსტაფა ფაშას ფიქრები ერწყმოდა სულთნის ჩანაფიქრს. თურქმა ფალავანმა თვალი შეავლო ყვარყვარეს. ლოცვის რიტუალი შეასრულა. რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდა. როცა ლოცვა დაამთავრა, სწრაფად გაემართა მეტოქისკენ, ყვარყვარე დინჯად იდგა. ოლიმპიური სიმშვიდით ელოდა თურქ ფალავანს. მეტოქეებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და შეიბნენ.

ზურნამ ჭყვიტინს უმატა, დოლმა – ბაგა-ბუგს. თურქი მიხვდა, რომ ძლიერ მეტოქესთან ჰქონდა საქმე. მისი წაქცევა არცთუ ისე იოლი იყო. მან ყვარყვარეს ცალი ხელი მოხვია, უცებ ყვარყვარემ თურქს მეორე ხელი დაუკავა. ოდნავ უკან დაიხია. მეტოქე არ ეშვებოდა და ჯიქურ მიდიოდა მესხი ფალავნისაკენ. თურქმა წამით მოადუნა ყურადღება, რადგან იფიქრა, რომ ყვარყვარეს მისი ეშინია და უკან იხევსო. მესხმა დიდებულმა სწრაფად და მოულოდნელად მეორე ხელი მოხვია მოწინააღმდეგეს და მთელი ძალით თავისკენ დაიქნია. წონასწორობადაკარგულ თურქ ფალავანს ყვარყვარემ ოდნავ თეძო შეაშველა და სულთნის დაუმარცხებელი ფალავანი ბეჭებით მიწაზე გააკრა. მას ზემოდან ყვარყვარეს ვეება სხეული აწვა. დამარცხებისაგან გაოგნებული თურქი ფალავანი ჰაერში ასავსავებდა ფეხებს. შემაზრზენი სიჩუმე ხალხის ოხვრამ შეძრა. ყვარყვარე დინჯად წამოდგა, ერთი გახედა თურქეთის მბრძანებელს და როცა მის სახეზე მხოლოდ გაკვირვება და მოწყენილობა ამოიკითხა, მშვიდად, თითქოს აქ არაფერიაო, მძიმედ დატოვა სარბიელი.

სახეზე ფერი შეცვლოდა თურქეთის მბრძანებელს. გულში ბოღმა ახრჩობდა. „რა ყოფილა ეს მოუდრეკელი გურჯი" – ფიქრობდა სულთანი – ჯერ იყო, ქრისტეს რჯული ვერ შევაცვლევინე, დღეს, აქამდე წაუქცეველი ფალავანი დამიმარცხა და პირდაპირ ჩემი ფეხების წინ ლავაშივით გააკრა მიწას. მურად მესამე უცებ ფიქრებიდან გამოერკვა. მართლაც რომ ჩაუმწარა სულთანს საზეიმო განწყობილება ამაყმა გურჯმა. რაც მთავარია, საპატიო სტუმრები, ელჩიონთა კრებული, თურქი დიდებულები და უბრალო გულშემატკივრები თურქეთის მბრძანებლის რაღაც მძიმე და საშინელ გადაწყვეტილებას მოელოდნენ ყვარყვარეს მიმართ. მართალია, მურად მესამე კიდევ უფრო დიდი ზიზღით უყურებდა გამარჯვებულ ქართველ ფალავანს, თუმცა, სადღაც, გულის კუნჭულში ოდნავ თანაუგრძნობდა ყვარყვარეს ვაჟკაცობას. როცა ფიქრებიდან გამოერკვა, ხალისიანი გამომეტყველება მიიღო და წყენა არ შეიმჩნია. წამოდგა და ოდნავ სახეაწითლებული ჩვეული ირონიული ღიმილით სარბიელს სწრაფად გაშორდა. სასახლეში ინება შებრძანება. სიტყვა კი არ გატეხა (ურჯულოებშიც იყვნენ პირიანნი), ყვარყვარეს სიცოცხლეც და ქრისტიანობაც შეუნარჩუნა. ხანჯაყბეგობა უბოძა, ორივე ძმას გამოემშვიდობა, გზა დაულოცა და სამშობლოში გამოისტუმრა.

დაბრუნდნენ სამშობლოში ძმები ჯაყელები. ერთი ქრისტიანი, გამარჯვებული და გალაღებული, ხოლო მეორე, რჯულშეცვლილი, უკვე მაჰმადიანი მუსტაფა ფაშა, მაგრამ ერთი დედისა და მამის ღვიძლი შვილები.

425 წელი გავიდა იმ დღიდან, მადლიერმა შთამომავლობამ სათუთად შემოინახა ყვარყვარე ჯაყელის ვაჟკაცობის, რაინდული კეთილშობილების, მამულიშვილობისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის ამბავი. შავოსანმა ბერებმა მესხურ ქრონიკებში ჩაწერეს: „პატრონი ყვარყვარე ღვთის წინაც შეურცხვენელი და კაცთანაცა ფალავანი დასცა ხუანთქართანა და ქართველობით გამოეშურა მისის საბატონოს წყალობა უქმნა".



ყვარყვარე IV ათაბაგი. მისი თანამედროვე ფრანგი შვეიგერის ნახატი (1579 წ.)

**ზურაბ ჯავახაძე, ქუთაისი.**

დასასრული.

დასაწყ. იხ. „ლელო" №55.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №11 (25) ივლისი, 2004 წელი


# ქართული კარატეს აღიარება მსოფლიო სარბიელზე

## ქართული კარატეს შესანიშნავი შვიდეული









ქართული კარატეს წარმატების მოპოვებაში შეტანილი დიდი წვლილისა და თანადგომისათვის საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ***კახა ბასილია*** მადლობას უხდის საქართველოს კულტურის სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ***გიორგი გაბაშვილს***, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტს ***გიორგი ბარამიძეს***, საქართველოს საბრძოლო ხელოვნების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარეს ***ზურაბ ლეჟავას***, შავი ზღვის ქვეყნების კარატე-დოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ***ოთარ გრძელიშვილს,*** ნაკრების ხელმძღვანელს ***კახა მარკოზაშვილს,*** ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დოს საქართველოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს და ნაკრების მწვრთნელს ***პაატა ჭელიძეს.*** მათი უშუალო ძალისხმევით მოხდა ქართველი კარატისტების სათანადოდ მომზადება და საბოლოოდ სასურველი შედეგების მოპოვება. და ბოლოს, რა თქმა უნდა, ქართული კარატეს ეროვნული ნაკრების ღირსების დამცველებს — საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ნაკრებს, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს მსოფლიო ასპარეზზე, რომ მართლა საუკეთესონი არიან.

*მძიმე, თავბრუდამხვევი, ქართული ვაჟკაცური სულის ომი სტამბულში და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ნაკრების ახალი წარმატება — თურქეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე. გუნდური მესამე ადგილი, ორი ოქროს, ორი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი, ჯამში, შვიდი სპორტსმენისაგან ხუთი მედალი, კარატეს ერთ-ერთ ურთულეს, მძიმე კონტაქტურ ბრძოლებში!*

ცხელი ზაფხულის დღეები საქართველოს კარატეს ეროვნულმა ნაკრებმა თურქეთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებაში გაატარა. მსოფლიო ჩემპიონატი მსოფლიოს ფულკონტაქტის წესებით გაიმართა, რაც სრულ კონტაქტს ნიშნავს და, თავისთავად, ურთულესია ბრძოლის თვალსაზრისით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის კარატისტები ასპარეზობდნენ.

ქართული კარატეს ეროვნული ნაკრები სულ შვიდი კარატისტისაგან შედგებოდა, ქართველ კარატისტთა შესანიშნავი შვიდეული, ქართველი „ჯვაროსნები", ასეთი სახელით შეამკეს ისინი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებმა და დამსწრეებმა. მათ კიდევ ერთხელ ალაფრთოვანეს მსოფლიოს კარატეს სამყარო, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ქართული ვაჟკაცობა!

სამდღიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ ჩვენმა კარატისტებმა ორი ოქროს, ორი ვერცხლი და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, საბოლოო ჯამში კი გუნდური მესამე ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე დიდი ტიტულიც ქართველებს ერგოთ — „სუპერსთარის" — ჩემპიონთა ჩემპიონის! „სუპერსთარის" ტიტულის მფლობელი საბრძოლო ხელოვნების შემეცნებითი კლუბ „ბონსაის" სპორტსმენმა ლევან პარნიკაშვილმა (79 კგ.) მოიპოვა თავისზე ცხრა კილოგრამით მძიმე მოწინააღმდეგესთან ექვსწუთიან დამქანცველ ბრძოლაში. ვახტანგ გაბუნიას კი „სუპერსთარის" ქამრის დასაცავად და მოსაპოვებელ ორთაბრძოლაში, მოწინააღმდეგე შიშისგან არ გამოუცხადდა და ტიტული დამსახურებულად მოირგო წელზე.

მსოფლიო ჩემპიონატის აღსანიშნავი მოვლენა იყო 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ლევან როგავასა და ლევან თუშიშვილის ორთაბრძოლები, რომელთა ბრძოლებიც, ორთაბრძოლების კლასიკურ ნიმუშებად ჩაითვალა.

მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლით მკერდი გიგა ჭიკაძემ დაიმშვენა (60 კგ.), ხოლო ბრინჯაოს დასჯერდა ბაკურ შონია (60 კგ.-მდე.).

საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველობისათვის ბრძოლა, ნახევარფინალში ფრედ „დაამთავრეს", რის შემდეგაც ავტომატურად გამოეთიშა ასპარეზსს. თუმცა, საბოლოოდ, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორის დასტურად ბრინჯაოს მედალი საქართველოში მაინც ჩამოიტანეს.



## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ნაკრები:

ლევან პარნიკაშვილი, „სუპერსთარი", კლუბი „ბონსაი"; ვახტანგ გაბუნია, „სუპერსთარი", გუჯუ-რიუ; ლევან როგავა, გოჯურიუ, მსოფლიო ჩემპიონი; ლევან თუშიშვილი, კლუბი „ბონსაი"; მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი; ბაკურ შონია, გუჯუ-რიუ კარატე-დო, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი; გიგა ჭიკაძე, გუჯუ-რიუ კარატე-დო, მსოფლიო ჩემპიონატისვერცხლის პრიზიორი; პაატა აბრამიშვილიკლუბი „ბონსაი", მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

**P.S.** *„ჯვაროსანთა" ლიდერს — ლევან პარნიკაშვილს, პირველივე ორთაბრძოლის შემდეგ უამრავი უცხოელი მენეჯერი და კარატეს ოსტატი შემოეხვია გარს და სპორტული კარიერის უცხოეთში გაგრძელება შესთავაზეს. მაგრამ კარატეს ქართველმა ოსტატმა არცერთი შეთავაზება არ მიიღო და საქართველოს სახელის სადიდებლად ბრძოლა არჩია!*





**ნუგზარ ჭიაბერაშვილი — საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი.**

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით.
ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.
მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89. WWW.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცდიის ცენტრალური ოფისი
空手道

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ**

# სტუმრებს - პამპერსები, ჩვენ - შემდგომი ეტაპი

**ვიტ ჯორჯია – ჰაფნასი 5-0**

**ვიტ ჯორჯია:** მამარდაშვილი, დათუნაიშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, იმედაშვილი, გველესიანი, ნოზაძე (კვარაცხელია 46), დილმელაშვილი, მერებაშვილი (ებანოიძე 46), გოჩაშვილი (კუპრეიშვილი 70), მარცვალაძე.

**ჰაფნასი:** რასმუსენი, ი. იონსენი, რუნი ნოლსიო, ბორო, ფერნანდესი, ლეივსონი (პ. იონსენი 46), ნილსენი, ელიასენი, დანიელსენი (ტორსტეინსონი 46), მორტენსენი, ლაკიუნი (იესპერსენი 76).

**გოლები:** 1-0 გოჩაშვილი (20), 2-0 მარცვალაძე (30), 3-0 დილმელაშვილი (43), 4-0 ინწკირველი (48), 5-0 ებანოიძე (58).

**გააფრთხილეს:** კვარაცხელია (55), ლაკიუნი (56), ფერნანდესი (64), მამარდაშვილი (64).

**მსაჯი:** კოსტას თეოდოტუ (კვიპროსი).

თბილისის „ვიტ ჯორჯიას", რომელსაც დებიუტი უნდა ჰქონოდა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე, მეტოქედ ფარერული „ჰაფნასი" ერგო წილად. ერთი შეხედვით თამაშს, რომლის შედეგიც თითქმის წინასწარვე იყო ცნობილი, ინტრიგა კუნძულელთა ულირსმა საქციელმა შემატა. დანიის სამეფოში შემავალი ქვეყნის შვილებმა, თამაშის წინა დღეს, ვარჯიშის დროს, არც აციეს, არც აცხელეს და ისეთი რამ ჩაიდინეს, რასაც ნორმალური ადამიანები არათუ იკადრებენ, გულშიც არ გაივლებენ. ამათ კი პირდაპირ სტადიონის შიდა კედელთან დაიკმაყოფილეს ბუნებრივი მოთხოვნილება. ამ ფაქტმა განაპირობა ფარერის დაბალი დონის გუნდთან მაყურებელთა ასე მრავლად მოსვლა სტადიონზე. თავად ვეტერინარებიც შურისძიების გრძნობით იყვნენ ალვსილები და მეტოქისთვის სამაგიეროს გადახდას დიდი ანგარიშით მოგებით აპირებდნენ. აკი ვიტელთა მთავარმა მწვრთნელმა მერაბ კოჭლაშვილმა მატჩის წინ დაიქადნა — სტუმრებს ოთხბურთიანი სხვაობით მოვუგებთო. ქვეყნის ახალმა ჩემპიონმა ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულა და სალიგო დებიუტი „ხუთიანზე" ჩააბარა. სტუმრებს ესეც არ აკმარეს და შეხვედრის დაწყებამდე სათადარიგო სკამზე პამპერსები დაახვედრეს, რამაც ერთობ გაამხიარულა სტადიონზე შეკრებილი პუბლიკა.



რაც შეეხება თავად თამაშს, ის ოდნავ მოულოდნელი სცენარით დაიწყო. ჯუჯა სამეფოს შვილები ჩვენს ჩემპიონს ტოლს არაფერში უდებდნენ და რამდენიმე ე.წ. ნახევარმომენტებიც შექმნეს. ასეთი დებიუტის შემხედვარე ვერავინ წარმოიდგენდა თუ შეხვედრა ასეთი კატასტროფული ანგარიშით დასრულდებოდა სტუმრებისთვის. ვეტერინარები მალევე მოეგნენ გონს და მეტოქეზე ზეწოლა გაზარდეს. მეოცე წუთზე ხანგრძლივი შეტევა ვლადიმერ გოჩაშვილის გოლით დასრულდა. ვეტერინართა თავდამსხმელმა მახვილი კუთხიდან თავით მოათავსა ბურთი სტუმართა კარში. ანგარიშის გახსნამ მასპინძლები ძალიან გაახარა და აშშ-ს მსოფლიო ჩემპიონატზე ბებეტოს მსგავსი ჟესტით აღნიშნეს (ხელებში ჩვილის რწევის ჟესტიკულაცია). როგორც შემდეგში გაირკვა, ვლადიმერი რამდენიმე დღეში შვილის დაბადებას ელოდება. გოლის შემდეგ ვეტერინარები მოედნის ბატონ-პატრონები გახდნენ და თავისუფლად თამაშობდნენ. 30-ე წუთზე იმედაშვილმა თავისი საჯარიმოდან „პარაშუტი" ჩაკიდა და ერთი-ერთზე გაიყვანა რასმუსენთან მარცვალაძე, რომელსაც არ გასჭირვებია ანგარიშის გაორმაგება.

43-ე წუთზე „ტრონჰეიმის" კართან კუთხური დაინიშნა, არეულობის შემდეგ უხეიროდ მოგერიებული ბურთი დილმელაშვილს მიუგორდა, რომელმაც 20 მეტრიდან უშანსოდ დატოვა სტუმართა გოლკიპერი.

მეორე ნახევრის დებიუტშივე ვეტერინარებმა კიდევ ორი ბურთი გაუტანა ურცხვ ფარერელებს. ჯერ 48-ე წუთზე ინწკირველმა თავურით ოთხამდე გაზარდა ანგარიშის სხვაობა. მატჩის 58-ე წუთზე კი შეცვლაზე შესულმა ებანოიძემ საბოლოო ანგარიში და სტუმართა განადგურება დააფიქსირა. მან ოციოდე მეტრიდან ცარიელ კარში იოლად შეაგორა ბურთი.

პრესკონფერენციაზე მერაბ კოჭლაშვილი შედეგით კმაყოფილი იყო და არც პოლონურ „ვისლასთან" მომავალ მატჩს უყურებდა უიმედოდ. „ჰაფნასის" მოთამაშე-მწვრთნელ ჰაინე ფერნანდესს, რომელსაც დანიის ნაკრებშიც უასპარეზია და „კოპენჰაგენის" რიგებში ასპარეზობის დროს „ლოკომოტივის" კარში გოლიც გაუტანია, მატჩის წინა დღეს მომხდარის გამო ბოდიშების მოხდა მოუწია. თუმცა, ისიც დაამატა, არ მეგონა, ეს ფაქტი თქვენზე ასე თუ იმოქმედებდაო, რაც ასე ახსნა — სხვადასხვა „კულტურის" წარმომადგენლები ვართო.



პირველი გოლის სიხარული...

გიორგი ჩუბინიძე

ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა

# „ფინტების მეფის" გაცილება

## დაუვიწყარის მოგონება

1969 წლის 16 ივლისს, „ლოკომოტივის" სტადიონზე ტევა არ იყო. თბილისის „დინამო" საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში მასპინძლობდა ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოს „ნასიონალს". გარდა სტუმართა გუნდისა, ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, რაც უნდა მომხდარიყო იმ დღეს.



„ფინტების მეფე" „მტკვრისპირელ გარინჩად" მონათლული, ლეგენდარული მიხეილ მესხი დიდი ფეხბურთიდან მიდიოდა. ასე გადაწყვიტეს მაშინდელმა სპორტკომიტეტის მაღალჩინოსანმა ბიუროკრატებმა. 32 წლის ასაკში, მიხეილ მესხი, ბრწყინვალე ფორმაში მყოფი, ფეხბურთს ჩამოაშორეს, არადა, მას კიდევ 4-5 წელი შეეძლო დიდი სიხარული ეჩუქებინა მილიონობით გულშემატკივრისთვის.

პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ სტადიონზე შეკრებილი 40 ათასი თვალცრემლიანი მაყურებელი სევდანარევი შეძახილით — მესხი! მესხი! — ემშვიდობებოდა ფეხბურთის ჯადოქარს. გახსოვთ, ალბათ, როგორი აღფრთოვანებული იყო მესხის თამაშით ურუგვაელთა გუნდის მწვრთნელი მორეირა და როგორი გაკვირვებული დარჩა ფეხბურთიდან მისი გაცილების გამო.

პირადად მე ვერ გავუძელი ამ ტანჯვას, ანუ ქართული ფეხბურთის ტრაგიკულ დღეს, აღარ დაველოდე მეორე ტაიმის დაწყებას და ტირილით დავტოვე სტადიონი. მაშინ 22 წლის ვიყავი. 16 ივლისი იყო ყველაზე მძიმე, ავადმოსაგონარი დღე მიშა მესხის ცხოვრებაში, რამაც შემდგომ, თანდათანობით, დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას. 1991 წლის 22 აპრილს, 54 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან ქართული ფეხბურთის ლეგენდა, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მთლიანად ფეხბურთს შესწირა...

და ვინ იცის, 16 ივლისის „საზეიმო" გაცილება რომ არ შემდგარიყო, დღეს მიხეილ მესხი ჩვენს გვერდით იქნებოდა, გაიხარებდა ოჯახთან და მეგობრებთან ერთად.

მესხი!.. ისმოდა აღტაცებული შეძახილები უცხოეთის სტადიონებზე.

მესხი!.. გუგუნებდნენ გაათმაგებით აღტყინებული ქართული ტრიბუნები.

სულ სხვა ჟინი და ცეცხლი აქვს სამშობლოს წაქეზებას და სიყვარულს...

რა დაგვავიწყებს, რომ კისრისტეხით მიმოვრბოდით ტრიბუნებზე შენი ფინტების სახილველად, დღემდე რომ ვერავინ შეძლო შენეული სინატიფით მისი შესრულება.

შენ, ჩვენო მიშა, ერთადერთი იყავი ქართველი ფეხბურთელებიდან, ვინც მიგიწვიეს ინგლისისა და მსოფლიო ნაკრებების საუკუნის მატჩზე მისმა ორგანიზატორებმა 1963 წლის 23 ოქტომბერს, მაგრამ საბჭოთა ფეხბურთის მესვეურებმა მორიგი ფარსი გაითამაშეს, როცა შენი ავადმყოფობა მოიგონეს და...

ვინ მოთვლის, რამდენი ოფლი და ენერგია შეალიე საბჭოური ფეხბურთის სახელსა და დიდებას მის ნაკრებში თამაშისას. სხვისი დროშის ქვეშ მებრძოლის ხვედრია ეს. „მიხეილ მესხი — ეს არის ფეხბურთის „შოთა რუსთაველი", რომელმაც სახელი გაუთქვა მსოფლიოში პატარა, მაგრამ ამაყ საქართველოს დაწყებული თბილისიდან დამთავრებული შორეულ ჩილეს დედაქალაქ სანტიაგომდე". ასე უწოდა მიშას ვეტერანმა რუსმა ფეხბურთელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვიქტორ ცარიოვმა.

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე მიხეილ მესხს უამრავი მატჩი უთამაშია და მუდამ აღტაცებაში მოჰყავდა ათიათასობით მაყურებელი.

ამ სტადიონზე კვლავ იმართება როგორც საქართველოს ჩემპიონატის, ისე საერთაშორისო მატჩები, სულ მალე სტადიონს ოფიციალურად მიენიჭება ლეგენდარული ფეხბურთელის სახელი და ასე ვიტყვით: თბილისის „მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი".

დღეს, 16 ივლისს 35 წელი შესრულდა იმ საბედისწერო დღიდან, როცა „ლოკომოტივზე" მიშა მესხი „საზეიმოდ" გააცილეს დიდი ფეხბურთიდან.

ვაჟა ჭიაურელი

ფოტოები „ლელოს" არქივიდან



# ჩემპიონთა ლიგა

I საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

გომელი (ბელარუსი) — ტირანა (ალბანეთი) 0-2
სკონტო (ლატვია) — რილი (უელსი) 4-0
ფლორა (ესტონეთი) — ნოვა გორიცა (სლოვენია) 2-4
შერიფი (მოლდოვა) — ჟენესი (ლუქსემბურგი) 2-0
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ჰიკ (ფინეთი) 0-1
რეიკიავიკი (ისლანდია) — შელბურნი (ირლანდია) 2-2
სლიმა (მალტა) — კაუნასი (ლიტვა) 0-2
პობედა (მაკედონია) — პიუნიკი (სომხეთი) 1-3
შიროკი ბრიეგი (ბოსნია) — ნეფტჩი (აზერბაიჯანი) 2-1

# იმერლები გაერთიანდნენ

ლაპარაკს ორი გუნდის გაერთიანების შესახებ წერტილი დაესვა. წყალტუბოს „სამგურალის" და „ზესტაფონის" თავკაცებმა ზაზა სოფრომაძემ და ილია კოკაიამ ხელი ხელს დაჰკრეს და 2004 წლის 7 ივლისს, თანამშრომლობის და კლუბების გაერთიანების ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ხელშეკრულების მიხედვით, XVI ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში „ზესტაფონი" ითამაშებს, „სამგურალი" კი რეგიონულ ლიგაში იასპარეზებს.

კლუბების ოფიციალური განცხადება და ხელშეკრულება უკვე წარედგინა სფფ-ს და პროფლიგას. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი კი უახლოეს სხდომაზე დაამტკიცებს ხელშეკრულებას.

## იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაციის

# განცხადება

გაცნობებთ, რომ დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ლიგის XVI ჩემპიონატის და თასის მატჩების მსაჯებისა და ინსპექტორების ტესტირება ჩატარდება 14 აგვისტოს. მსაჯებისათვის ქუთაისის ტორპედოს ცენტრალურ სტადიონზე 10 საათზე. ხოლო ინსპექტორებისათვის 14-15 აგვისტოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში (თამარ მეფის ქ №32). მსაჯებმა უნდა წარმოადგინონ ჯანმრთელობის ცნობა №286, ორი ცალი ფოტოსურათი.

ინსპექტორებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №286;
2. ცნობა სამუშაო ადგილიდან. (საფეხბურთო კლუბების თანამშრომლები ინსპექტორებად არ დაინიშნებიან);
3. ორი ფოტოსურათი 3X4.

საფეხბურთო მატჩის ინსპექტორს უნდა გააჩნდეს ფეხბურთში მუშაობის გამოცდილება.

პირები, რომლებიც დადგენილ ვადაში არ გაივლიან ტესტირებას, თამაშებზე არ დაიშვებიან.

კონსულტაციები ჩატარდება ირფფ-ში ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს.

ინსპექტორთა ასაკობრივი ცენზი განისაზღვრება 45 წლიდან 70 წლის ჩათვლით.

იმერეთის ფეხბურთის რეგიონალური ფედერაცია.

# მე... ბორის სიჭინავა... და ჭორვილა

რეტრო

საჩხერის რაიონის სოფ. ჭორვილაში დავიბადე და გავიზარდე. აქვე გავატარე ბავშვობისა და ყრმობის წლები. ვცხოვრობდი აქ მანამ, ვიდრე ქუთაისში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი არ გავხდი — მაშინ 18 წლის ვიყავი. თუმცა... ჩემს ლამაზ სოფელში, იმ ეზოში, სადაც დავიბადე, დამაკმაყოფილებელი ფართის სახლი ავაშენე და ხშირად მოცლილობის ჟამს ჩავდივარ ხოლმე. ჭორვილა ამჟამად ბატონ ბიძინა ივანიშვილის ხელშეწყობითა და მეცადინეობით (იგი ამ სოფლის მკვიდრია) უმშვენიერესი დასახლებული ადგილია... თანაც, ეს მხოლოდ დასაწყისია.

...1963 წლის თებერვალი ან მარტი იდგა. კვირა დღე იყო. მე-9 კლასში ვსწავლობდი. მამაჩემი კოლმეურნეობის მთავარ ბუღალტრად მუშაობდა. ათი-თორმეტი საათი იქნებოდა, როცა მან დავალება მომცა: ავსულიყავი კოლმეურნეობის კანტორაში, მომენახა დარაჯი, რომელიც გადმომცემდა მამაჩემის კუთვნილ გაზეთებს, წიგნებს, ტუფლებს... მამის დავალება „გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა".

ქინქლავდა. სოფლის გზებში უსაშველო ტალახი იყო. კოლმეურნეობის კანტორასთან მისვლისას, ცენტრალური გზიდან შემოსული სუფთა, ახალთახალი „ვოლგა" — გაზ-21 გაჩერდა. მანქანიდან მაღალი, სიმპათიური ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა. მას მოდური კოსტიუმი ეცვა. ახალთახალ, თეთრ პერანგს ზოლიანი ჰალსტუხი უმშვენებდა. მზის სათვალე ეკეთა. როცა იგი მანქანიდან გადმოვიდა და სათვალე მოიხსნა, გავვოცდი: ჩემს წინ თბილისის „დინამოს" მარჯვენა მცველი ბორის სიჭინავა იდგა. რაც მართალია, მართალია, პირველად დავინახე დიდი ფეხბურთელი არასაფეხბურთო ჩასაცმელში. ბორის სიჭინავა თავაზიანად მომესალმა.

— აქაური ხართ? — წყნარად მკითხა მან.

— დიახ! — ვუპასუხე მე.

— ოქრო მაჭავარიანი სად ცხოვრობს?

ოქრო მაჭავარიანი თბილისელი კაცი გახლდათ. მისი ბაბუა და მამა კი, ჩემი სოფლიდან იყვნენ თბილისში წასულები და იქ ცხოვრობდნენ. იმ დღეს ოქროს ბაბუის დაკრძალვა იყო. ბორისიც ამიტომ ჩამობრძანდა თბილისიდან. მან თავისი მეგობრის — ოქროს მწუხარება გაიზიარა.

მე მივუნიშნე თუ სად ცხოვრობდა მისი მეგობარი და თან დავძინე, რომ ასეთ ტალახში მანქანით იქ მისვლა შეუძლებელია და ამიტომ მანქანა ჩაკეტეთ და ყარაულს ჩააბარეთ-მეთქი. ყარაულად იმ დროს ჩემი მეზობელი და უფროსი მეგობარი ვახტანგ მაჭავარიანი მუშაობდა. საუბარში გართულებს ისიც მოგვიახლოვდა.

ბორის სიჭინავამ მას თავაზიანი თხოვნით მიმართა შეეტყობინებია ოქროსათვის მისი ჩამოსვლა. ვახტანგი დაუზარებლად გაეშურა თხოვნის შესასრულებლად.

— რა გვარი ხართ? — მკითხა ბორისმა, როცა მარტონი დავრჩით.

— მჭედლიშვილი — ვუპასუხე მე.

ბორისმა გაკვირვებით შემომხედა. დაჟინებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ალბათ ჩემი გვარის წარმოთქმამ გააკვირვა იგი. მოგეხსენებათ, მჭედლიშვილები ძირითადად კახეთში, აგრეთვე ქართლში ცხოვრობენ. ჩემი სოფელი (აქედან გამომდინარე საჩხერის რაიონი) ერთადერთი სოფელია (რაიონია) იმერეთში, სადაც ჩემი გვარი ცხოვრობს.

— დავით მჭედლიშვილს თუ იცნობ? — მკითხა მან.

— დავით მჭედლიშვილი ჩემი ბიძაა — ვუთხარი მე — ის მამაჩემის გარე ბიძაშვილია, მე და მისი ვაჟი სკოლაში ერთად ვსწავლობთ — დავუმატე მე. ტყუილი არ მითქვამს. მე და იური სკოლაში ერთად ვსწავლობდით, ვმეგობრობდით და ახლაც ვმეგობრობთ. როცა იგი, 25 წლის წინათ ეთერ მაჭარაშვილზე დაქორწინდა, ხელისმომკიდე მე გახლდით. თუმცა, ეს იყო შემდეგ. მაშინ კი...

— შენი ბიძაა? — გაიკვირვა მან — დადიხარ მის ოჯახში?

— თითქმის ყოველდღე — ვუთხარი მე.

ბორის სიჭინავამ კიდევ უფრო გაიკვირვა:

— მე დავითის ოჯახის ხშირი სტუმარი ვარ, ის ავთო ხელაძის ბიძაა (მაშინ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი — ნ.მ.), დავითის ვაჟი ჩემი მეგობარია — დაუმატა.

— დავითის ვაჟი ჩემი მეგობარიცაა — აღფრთოვანებით ვთქვი მე.

ბორისს სახე გაოცებით შეეჭმუხნა, თვალები გაუფართოვდა.

— მე შენ იქ არასოდეს არ მინახიხარ! საინტერესოა... — თქვა მან.

— ალბათ, სხვადასხვა დროს მივდივართ — გულუბრყვილოდ ვთქვი მე.

ბორის სიჭინავა გაჩუმდა. ერთ ადგილს დაჟინებით დააჩერდა.

სად ცხოვრობს დავითი? — მკითხა მან.

კოლმეურნეობის კანტორიდან კარგად ჩანდა დათიკო ბიძია, თავის ვენახში რომ ბარავდა (საკარმიდამო მიწის ნაწილი მას სახლიდან ოდნავ მოშორებით ჰქონდა).

— აქედან სახლი არ მოჩანს — ვუთხარი მე — თვითონ კი, აი, იქ, კაცი რომ ბარავს, დათიკო ბიძიაა.

— თუ ძმა ხარ, რას მელაპარაკები, მე დავით მჭედლიშვილზე, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორზე გეკითხები — ბორის სიჭინავას გაოცებამ აპოგეას მიაღწია.

— ღმერთო ჩემო — გავიფიქრე მე — რა ჩემი ბრალია, თუ ამდენ ხანს ამას ვერ მივხვდი, არადა, მე ჩემის მხრივ ხომ მართალი ვარ?!

— არა, ბატონო, მე ამ დავით ბიძიაზე მოგახსენებდით. „კომუნისტის" რედაქტორს არა თუ არ ვიცნობ, უფრო მეტიც, თვალითაც არ მინახავს იგი — დარცხვენილმა ვთქვი მე.

ბორის სიჭინავამ გულიანად გაიცინა. მისი მხიარულება მეც გადმომედო — მეც გულიანად გამეცინა.

ამ დროს ოქრო და ვახტანგი მოვიდნენ.

ბორისი და მისი მეგობარი ერთმანეთს მხურვალედ გადაეხვივნენ და ოქროს სახლისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

წასვლისას ბორისმა ჩვენი მხიარულების მიზეზის შესახებ ოქროს საუბარი დაუწყო... მე კი, ჩემის მხრივ ვახტანგის ვუამბე.

...შინ დაბრუნებულმა მამაჩემს და ჩემს მეზობლებს მოვუყევი ჩემი და ბორის სიჭინავას შეხვედრისა და დიალოგის შესახებ. ყველამ გულიანად იცინა.

...ის ღამე თეთრად გავათენე. მღელვარებას ძლივს ვიოკებდი.



ბ. სიჭინავას ამ დარტყმის შემდეგ გავიდა თბილისელებისთვის გამარჯვების მომტანი გოლი მოსკოვის „სპარტაკის" კარში.
ფოტო „ლელოს" არქივიდან.

— მე ხომ პირველად ახლოს ვნახე ნამდვილი ფეხბურთელი, შუაღამისას ავდექი, სინათლე ჩავრთე, მოსწავლის რვეული და კალამი ავიღე და რამდენიმე კითხვა ჩამოვწერე. ვიფიქრე, შესაძლებელია ბორის სიჭინავა თავის მეგობართან დარჩეს და დილით დავუყარაულდები და რამდენიმე კითხვას დავუსვამ-მეთქი.

დილით ადრე, სკოლისკენ მიმავალმა, მაჭავარიანების უბნისაკენ შევუხვიე. მეზობლებმა მითხრეს, რომ ბორის სიჭინავა საღამოს, მოგვიანებით გაეშურა თბილისშიო. გული დამწყდა. ასე რომ არა, ეს იქნებოდა ჩემი პირველი ინტერვიუ 14 წლის ასაკში.

ორი წლის შემდეგ, 16 წლისამ, 1965 წლის დეკემბერში, პირველი ინტერვიუ ნონა გაფრინდაშვილისაგან ავიღე, საჩხერეში.

... ზემოაღწერილი შეხვედრის შესახებ ვუამბე ჩემს მეზობელსა და მეგობარს (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გიორგი (ასანა) ნადირაძეს, ბორისის ახლო მეგობარს), სლავა მეტრეველს, მიხეილ მესხს, სერგო კოტრიკაძეს, ვასილ მჭედლიშვილს (დიდი ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის ბატონ დავით მჭედლიშვილის ვაჟს); ეყვები ყველგან (სადაც მომენტი და ვითარება მკარნახობს) ორმოც წელზე მეტია. როცა შევხვდები ბორისსაც, — გავახსენებ ხოლმე.

...ბორის სიჭინავა თბილისის „დინამოს" მესამე თაობის უბადლო მარჯვენა მცველი გახლდათ. შეუპოვარი, ათლეტური, გულიანი, ულალატო... ის ორჯერ იყო ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1962 წ. და 1967 წ.). 1964 წელს კი, ბორისმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში ჩაატარა (საკავშირო ჩემპიონატებში) 241 შეხვედრა და გაიტანა 6 ბურთი. მონაწილეობდა საკავშირო თასის გათამაშების 17 და 55 საერთაშორისო მატჩში (1 გოლი). შედიოდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში. იმ 6 გოლიდან, რომელიც ბორისმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში გაიტანა, ერთი ჭეშმარიტად „ოქროსია". ეს არის ის გოლი, რომელიც მან 1964 წლის 28 მარტს საფეხბურთო, „ოქროს სეზონში", მოათავსა მოსკოვის „სპარტაკის" კარში, თბილისში. ეს მოხდა შეხვედრის 90-ე წუთზე. 1-0 — გაიმარჯვა ჩვენმა „დინამომ". ბორისის გოლმა ბედნიერი დასაბამი მისცა იმ წლის „ოქროსმოსავლიანობას". 1964 წელს ბორის სიჭინავა „33 საუკეთესო" ფეხბურთელთა შორის №2 მარჯვენა მცველად აღიარეს.

...გასულ წელს ზაფხულში, თბილისში, „ნორჩ დინამოელში" (ბორისი აქ მწვრთნელად მუშაობს) შევხვდით ერთმანეთს. იქვე, სტადიონის მისადგომებთან ჩამოვჯექით; დიდხანს (რამდენიმე საათს) ვისაუბრეთ; რა თქმა უნდა, საუბარში ჭორვილის ორმოცი წლის წინანდელი შეხვედრაც გავიხსენეთ.

...ბორის სიჭინავა ნაღდი კაცია, გულღია, რაინდული სულის...

ასეთი იყო მწვანე მინდორზე... ასეთია დღესაც.

ნუგზარ მჭედლიშვილი,
ქუთაისი, 2004 წელი.




## თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!

ფოტოზეა ბრაზილიელი, პიროვნება, რომელიც 7 (შვიდჯერ) მონაწილეობდა თავისი ქვეყნის პირველ ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატებში ფეხბურთში. პირადად მან თავისი სპეციალობით დიდი წვლილი შეიტანა ამავე ქვეყნის ნაკრების სამჯერ მსოფლიო ჩემპიონად აღიარებაში. იგი თითქმის საუკუნის მეოთხედს მოღვაწეობდა ბრაზილიის მთავარ ნაკრებში მასაჟისტად, რომლის ზედმეტი სახელი იყო... „ბურთის მტაცებელი". გარდაიცვალა 1990 წელს. ვინაა იგი?

„ლელოს" № 54-ში გამოქვეყნებული შეკითხვის პასუხი:
სურათზეა ლეგენდარული იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი ვიტორიო პოცო.

## ბორა მილუტინოვიჩი: „ჩემი წამოსვლის შემდეგ ჰონდურასელები დამშვიდდებიან..."

ცნობილია, რომ ამ ცოტა ხნის წინ ჰონდურასის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა საქვეყნოდ ცნობილმა სპეციალისტმა ბორა მილუტინოვიჩმა. ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის, ვფიქრობთ ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს მილუტინოვიჩის მიერ რუსული საიტ „სპორტისათვის" მიცემული ინტერვიუ.




● *თქვენ პირველად შეწყვიტეთ გუნდის წვრთნა, რომ იტყვიან, შუა გზაზე. რა იყო ამის მიზეზი?*

— ვფიქრობ, ჩემი წამოსვლის შემდეგ ჰონდურასელები დამშვიდდებიან. როცა იქ ვიყავი, სამუშაო პირობები არანორმალური მქონდა. სწორედ ეს იყო ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი. ამის მიუხედავად მადლობელი ვარ ჰონდურასის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობისა, რომელიც მუდამ გვერდში მედგა; მადლობელი ვარ მოთამაშეებისა, რომლებმაც გამიგეს.

● *მაინც როგორ მოხდა, რომ ჩინეთში ორ წელიწადს გაძელით, ჰონდურასში კი მხოლოდ ერთი?*

— ამას ახლავე აგიხსნით. ჩინელები ესპანურად არ ლაპარაკობენ, მე კი — ჩინურად, თუმცა, ჩვენ მაინც გვესმოდა ერთმანეთის — ჰონდურასში ყველა ესპანურად ვსაუბრობდით, თუმცა, ერთმანეთს ვერაფერს ვუგებდით. ასე რომ, როცა მოხვდები სიტუაციაში, რომლის დროსაც ვერ აღწევ ჰარმონიულობას ახალი გუნდის მშენებლობის საქმეში, გამოსავალი ერთია — უნდა წახვიდე.

● *გამოდის, რომ ჰონდურასში „საფეხბურთო ომი" წააგეთ?*

— პირიქით, გავიმარჯვე, რადგან მე ჩემი პრინციპების ერთგული დავრჩი.

● *მოდით, ცოტა რამ ევროპის ჩემპიონატზეც ვისაუბროთ. არ გაგიკვირდათ ის, რომ ნახევარფინალში ვერ გავიდნენ ფავორიტებად აღიარებული ესპანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის ნაკრებები?*

— თუ მხოლოდ ანგარიშებით ვიმსჯელებთ, შეიძლება გასაკვირია, მაგრამ თუ ძირფესვიან ანალიზს გავუკეთებთ, გამოდის, რომ საბერძნეთის ნაკრებმა ღირსეულად მოიპოვა ევროპის ჩემპიონობის ტიტული. ეს არის კარგად ორგანიზებული, ძლიერი გუნდი, რომელსაც ნიჭიერი გერმანელი სპეციალისტი თავკაცობს. საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაში ყველა გუნდს გაუჭირდა.

● *მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატსაც ფავორიტები ნაადრევად გამოეთიშნენ... ხომ არ ამჩნევთ, რომ ფეხბურთში რაღაც იცვლება?*

— იცით, რაშია საქმე? ისეთ გუნდებში, როგორებიცაა საბერძნეთის, ჩეხეთის, თურქეთისა და კორეის ნაკრებები, შედიან ფეხბურთელები, რომლებიც ევროპულ გრანდებში თამაშობენ. ისინი ითავისებენ იქაურ სიტუაციას და თავიანთ გამოცდილებას მშობლიური ქვეყნის ნაკრების წევრებს უზიარებენ. როცა მოთამაშეები ევროპის მაღალი რანგის ჩემპიონატების მქონე ქვეყნებში ასპარეზობენ, ნაკრებშიც ეფექტურად თამაშობენ.

● *რა დაგამახსოვრდათ ევროპის ჩემპიონატიდან?*

— ლუის ფელიპე სკოლარის მუშაობის მანერა პორტუგალიის ნაკრებთან. ჩემი აზრით, ის მეტად ძლიერი სპეციალისტია. მომეწონა ჩეხეთის ნაკრების თამაში. დასასრულ, არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ აღვნიშნო ოტო რეჰაგელის ტაქტიკური მუშაობა.

● *ოცნებობთ თუ არა მეექვსედ მოხვდეთ მსოფლიო ჩემპიონატზე?*

— ვერ ვიტყვი, რომ ვოცნებობ, რადგან მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გასვლა ჩემი ცხოვრების წესია. კიდევ ერთხელ გავალ თუ არა ფინალში, ეს მომავალში გამოჩნდება.

## შირერი „ნიუკასლიდან" წასვლით იმუქრება




„ნიუკასლის" ფორვარდი ალან შირერი აპირებს გუნდის დატოვებას იმ შემთხვევაში, თუ მისი ადგილი არ იქნება ძირითად შემადგენლობაში.

„თუ მწვრთნელი მეტყვის, რომ ძირითადი შემადგენლობის წევრი არ ვარ, მე წავალ „ნიუკასლიდან". არ მინდა, რომ ჩემთვის უკანასკნელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე ჩავამთავრო", — ამბობს ალან შირერი.

## სანქტ-პეტერბურგში ახალ სტადიონს აშენებენ

სანკტ-პეტერბურგის ხელმძღვანელობამ ახალი საფეხბურთო სტადიონის აშენება გადაწყვიტა. პროექტის ღირებულება 50 მილიონი დოლარია. ქალაქის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ძველი „პეტროფის სტადიონი" აღარ აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს.

## დენილსონი სეზონის დასაწყისს გამოტოვებს

ესპანეთის საფეხბურთო კლუბ „ბეტისის" ნახევარმცველი დენილსონი ექიმების დასკვნით, სეზონის დასაწყისში ვერ ითამაშებს. საქმე ისაა, რომ ამ ფეხბურთელს ტრავმირებულ მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს.

„ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ახალ სეზონში დენილსონს აღარ შეაწუხებს მუხლის ტკივილი" — განაცხადა გუნდის ექიმმა სანტიაგო პერეს იდალგომ. მისი აზრით, ეს ფეხბურთელი მოედანს 2-3 თვეში დაუბრუნდება.

## ჩევანტონი „მონაკოში" გადავიდა

ურუგვაელი თავდამსხმელი ერნესტო ჩევანტონი ახალ სეზონს საფრანგეთის საფეხბურთო კლუბ „მონაკოში" შეხვდება. სატრანსფერო თანხის ოდენობა ჯერჯერობით უცნობია. ბოლო პერიოდში ჩევანტონი იტალიური კლუბის „ლეჩეს" ღირსებას იცავდა. 2003-2004 წლების სეზონში მან 19 გოლი გაიტანა სერია „ა"-ში.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## გერმანელი „ტურისტიდან“ საბერძნეთის ეროვნულ გმირამდე



**ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საფეხბურთო „ვნებები“ თანდათან ჩაცხრა. სპეციალისტები კი ახლაც აგრძელებენ შეფასებების მიცემას ევროპის ჩემპიონატში ამა თუ იმ გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგებზე. კვლავაც პოპულარული რჩება საუბარი საბერძნეთის ნაკრებთან დაკავშირებით, რომელიც წლის აღმოჩენად იქცა. ბერძენთა მწვრთნელი ოტო რეჰაგელი ევროპის ჩემპიონატის სრულყოფილად ანალიზისათვის კარგა ხანს ვერ იცლიდა, ანდა, როგორ მოიცლიდა, როცა ლამის მთელი გერმანია ითხოვდა მის დანიშვნას ბუნდესქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ოტო რეჰაგელმა ისევ საბერძნეთის ნაკრებში დარჩენა არჩია. ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ალბათ, დააინტერესებს ოტო რეჰაგელის მიერ უეფას საიტისათვის მიცემული ინტერვიუ.**

**დოსიე:** ოტო რეჰაგელი
**დაიბადა** 1938 წლის 9 აგვისტოს
**მოთამაშის კარიერა:** „რო-ვაისი“ (1960-63), „ჰერტა“ (1963-66), „კაიზერსლაუტერნი“ (1966-72 წ.წ.). ბუნდესლიგაში 201 მატჩი ჩაატარა და 22 გოლი გაიტანა.
**სამწვრთნელო კარიერა:** „ზაარბრიუკენი“ (1972-75), „კიკერსი“ (1973-75), „ვერდერი“ (1976, 1981-95), დორტმუნდის „ბორუსია“ (1976-78), „არმინია“ (1978-79), „ფორტუნა“ (1979-80), მიუნხენის „ბაიერნი“ (1995-96), „კაიზერსლაუტერნი“ (1996-2001), 2002 წლიდან საბერძნეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

● ***თქვენი მოღვაწეობის ორი წლის განმავლობაში საბერძნეთის ნაკრებმა ფანტასტიკური პროგრესი განიცადა...***

— თუ გგონიათ, რომ ყველაფერი თავიდანვე „ტკბილად“ დაიწყო, სცდებით. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ორი მარცხით დავიწყეთ, — ერთნაირი ანგარიშით 0-2 დავმარცხდით ესპანეთისა და უკრაინის ნაკრებებთან. ბერძნულმა გაზეთებმა კრიტიკა დამატეხეს თავს. ერთ სტატიას ასეთი სათაურიც ესწერა: „რატომ ავიყვანეთ ეს „ტურისტი“ გერმანიიდან?“ სიტყვა „ტურისტი“, რა თქმა უნდა, ჩემი მისამართით იყო ნათქვამი და ამან გამაღიზიანა... მას შემდეგ 6 მატჩი მოვიგეთ ზედიზედ და ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ. არც ის დაგავიწყდეთ, რომ საკუთარ კარში ერთი გოლიც არ გაგვიშვია...

ევროპის ჩემპიონატზე რომ მივდიოდით, ვიცოდით, ძნელი ბრძოლა გველოდა. მანამდე საბერძნეთის ნაკრებს ერთი გამარჯვებაც არ ჰქონდა მოპოვებული ასეთი მაღალი რანგის ტურნირების ფინალურ ეტაპებზე... ჩვენ ბოლომდე ღირსეულად, თავგანწირვით ვიბრძოლეთ და ისეთ შედეგს მივაღწიეთ, რასაც საბერძნეთში ერთი წლის წინ ვერავინ იფიქრებდა.

● ***შესარჩევ ეტაპზე პირველი ორი მარცხის შემდეგ, რა შეცვალეთ გუნდში?***

— ყველაფერი დისციპლინისა და ერთიანობის განმტკიცებით დაიწყო. გუნდში, რომ იტყვიან, „გერმანული წესრიგი“ დავამყარე, კარგი გაგებით. ასე მაგალითად, როცა საბერძნეთის ნაკრებში ახალი მისული ვიყავი, შევიტყვე, რომ მოთამაშეებს უყვარდათ ღამის გატარება გასართობ ადგილებში, — ეს ბერძნული ტრადიციაა. იძულებული გავხდი, ყოველი მატჩისათვის მზადების პერიოდში ასეთი „ტრადიციისათვის“ ტაბუ დამედო. გარდა ამისა, ფეხბურთელების ინტიმურ ცხოვრებაშიც ჩავერიე: ერთხელ, როცა ბუქარესტში ჩავფრინდით სათამაშოდ, შევამჩნიე, რომ მოთამაშეთა ნაწილი სასტუმროს „ინტიმური სამსახურით“ ერთობოდა. მივხვდი, რომ ეს გუნდის წარმატების გარანტი არ იყო და... ერთი ღამით სასტუმროს მომსახურე პერსონალში მხოლოდ მამაკაცები გავამწესებინე. ფეხბურთელებმა ცოტა ინერვიულეს, მაგრამ რაღას იზამდნენ, — მთელი ფიქრით უკვე მომავალ მატჩთან იყვნენ დაკავშირებულნი, — სხვა გზა აღარ ჰქონდათ. შედეგი? — ფანტასტიკური გამარჯვებების მოპოვება!

და კიდევ ერთი ნიუანსი, — როცა შევატყვე, შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსი გვქონდა, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას ორი კვირით გავაგრძელებინე ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი, რათა მოთამაშეებს შესარჩევი ეტაპის ბოლომდე შეენარჩუნებინათ ჩვეული სპორტული ფორმა.

● ***ბერძნული ენა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეთ. როგორ მიმართავთ შეგირდებს?***

— მთარგმნელის ფუნქცია თავის თავზე აიღო ჩემმა თანაშემწემ იოანის ტოპალიდისმა. ის გერმანიიდან წამოვიყვანე, თუმცა, წარმოშობით ბერძენია.

● ***გარდა ამისა, თქვენ მოთამაშეებს მიმართავთ ორიგინალურად, უსტვენთ ნეკა თითით, თანაც დიდებულად გამოგდით. საიდან ასეთი ჩვევა.***

— შორეული ბავშვობიდან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიაში მოდაში იყო მტრედების მოშენება. არც მე ვიყავი გამონაკლისი.

● ***ბოლო პერიოდში დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი თქვენს გარშემო — გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად გიწვევდნენ. რატომ თქვით უარი?***

— (იცინის). ხედავთ, როგორ იცვლება წარმოდგენა ადამიანზე? არც ისე დიდი ხნის წინათ ჩემს დონედ ბრემენის „ვერდერს“ მიიჩნევდნენ, ახლა კი ჩემში ეროვნულ მხსნელს ხედავენ. არა, მე არ წავალ საბერძნეთიდან თუნდაც იმიტომ, რომ ეს ქვეყანა ძალიან შემიყვარდა, — მე ხომ საბერძნეთის საპატიო მოქალაქეობაც მომცეს. არც ის დაგავიწყდეთ, რომ კონტრაქტით საბერძნეთის ნაკრებში კიდევ ორი წელი უნდა ვიმუშაო. გუნდიდან წავალ მაშინ, როცა საჭირო აღარ ვიქნები.

## ზლატკო კრანჩარმა ბარიჩი შეცვალა

ხორვატიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ზლატკო კრანჩარი, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა ცნობილი სპეციალისტი ოტო ბარიჩი, რომლის ხელმძღვანელობითაც ხორვატიის ნაკრებმა ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე იასპარეზა. საინტერესოა, რომ ზლატკო კრანჩარი მამაა ხორვატიული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავისა — ნიკო კრანჩარის, რომელიც ამჟამად ზაგრების „დინამოს“ ნახევარმცველია.

ზლატკო კრანჩარი თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს 2006 წლამდე, ე.ი. მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატამდე უხელმძღვანელებს. მას დაეხმარება მარტინ ნოვესელაცი, რომელიც აქამდე ხორვატიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა. საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელიც აცხადებდა პრეტენზიას ბარიჩის ადგილზე, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლატკო მარკოვიჩმა მაინც კრანჩარი არჩია.

„ჩემი აზრით, საუკეთესო არჩევანი გავაკეთეთ შექმნილ რთულ სიტუაციაში. კრანჩარიც და ნოვესელაციც ძალიან კარგი სპეციალისტები არიან. ისინი ერთობლივი მუშაობით დიდ სარგებლობას მოუტანენ ხორვატიის ნაკრებს“, — განაცხადა მარკოვიჩმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ზლატკო კრანჩარმა ხორვატიის ჩემპიონატი ორჯერ მოიგო. პირველად სახელი გაითქვა 2001-2002 წლების სეზონში საფეხბურთო კლუბ „ზაგრებთან“ ერთად, როცა დაამხო ზაგრების „დინამოსა“ და „ჰაიდუკის“ მრავალწლიანი ჰეგემონია. წინა სეზონში კი უკვე „დინამოს“ მოაპოვებინა ქვეყნის ჩემპიონატის ოქროს მედლები.

როგორც მოთამაშე, ზლატკო კრანჩარი საფეხბურთო სამყარომ გასული საუკუნის 80-იან წლებში გაიცნო, როცა წარმატებით ასპარეზობდა იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში. იყო ზაგრების „დინამოს“ თავდამსხმელი და როცა 28 წლის შეიქნა, იუგოსლავიის მაშინდელმა საფეხბურთო კანონმა ნება დართო კარიერა საზღვარგარეთ გაეგრძელებინა. ზლატკო ავსტრიულ კლუბებში აღმოჩნდა: ჯერ „აუსტრიაში“, შემდეგ — „რაპიდში“. ამ უკანასკნელს იმ პერიოდში ოტო ბარიჩი ხელმძღვანელობდა...



მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპამდე არცთუ დიდი დრო დარჩა, აქედან გამომდინარე, ზლატკო კრანჩარს დაძაბული სამუშაო ელის.

„4 სექტემბერს პირველ შესარჩევ მატჩს ვთამაშობთ უნგრეთის ნაკრებთან. იმედი მაქვს, რომ ამ თამაშს მომზადებულები შევხვდებით“, — ამბობს ზლატკო კრანჩარი. შეგახსენებთ, რომ ხორვატები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ერთ ჯგუფში მოხვდნენ უნგრეთის, შვედეთის, ბულგარეთის, ისლანდიის და მალტის ნაკრებებთან ერთად.

## მეოთხედფინალისტები გამოვლინდნენ

**დასრულდა ამერიკის თასის გათამაშების – „კოპა ამერიკის“ ჯგუფური ეტაპი**

„ც“ ჯგუფის ბოლო მესამე ტურში ბრაზილიის ნაკრებმა მოულოდნელად 1-2 წააგო პარაგვაის გუნდთან. პარაგვაელები 28-ე წუთზე გონსალესის გოლით დაწინაურდნენ, 7 წუთში ფაბიანომ წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმში კი ფარეირომ გამარჯვების გოლი გაიტანა ბრაზილიელთა კარში.

ამავე ჯგუფში კოსტა-რიკის ნაკრებმა 2-1 სძლია ჩილეს გუნდს.

საბოლოოდ, ჯგუფიდან მეოთხედფინალში გავიდნენ პარაგვაის, ბრაზილიისა და კოსტა-რიკის გუნდები.

**17 ივლისს** გაიმართება მეოთხედფინალური მატჩები კოლუმბიისა და კოსტა-რიკის, აგრეთვე, პერუსა და არგენტინის ნაკრებებს შორის. წყვილებს შორის გამარჯვებულები 20 ივლისს შეხვდებიან ერთმანეთს ნახევარფინალში.



**18 ივლისს** შედგება პარაგვაი — ურუგვაი და მექსიკა — ბრაზილიის მეოთხედფინალური შეხვედრები. აქაც გამარჯვებულები ერთმანეთთან შეხვედრით გამოავლენენ ფინალისტს 21 ივლისს. თვით ფინალური მატჩი კი შედგება 25 ივლისს პერუს დედაქალაქ ლიმაში.

## ისევ ვალერი გაზაევი!

ბოლოდროინდელი წარუმატებლობის ფონზე რუსული ცსკა-ს მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს პორტუგალიელი სპეციალისტი არტურ ჟორჟი. მისი ადგილი... ვალერი გაზაევმა დაიკავა, რომელმაც ცსკა-ს შარშან რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის ოქროს მედლები მოაპოვებინა.

მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელი მწვრთნელის ცსკა-დან წასვლაზე კარგა ხნით ადრე საუბრობდნენ, მაინც ეს მომენტი ისე დადგა, ბევრი რომ არ მოელოდა: რუსეთის პრემიერლიგის მორიგ ტურში ცსკა-მ 3-0 დაამარცხა „ამქარი“, საგრძნობლად გაიუმჯობესა მდგომარეობა სატურნირო ცხრილში და... ჟორჟიც წავიდა.

„ამქართან“ მატჩს ესწრებოდა „ჩელსის“ მფლობელი რომან აბრამოვიჩი, რომელსაც პარტნიორული დამოკიდებულება აქვს ცსკა-ს პრეზიდენტთან ევგენი გინერთან: მარტში არმიის კლუბსა და „სიბირნეფტის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გინერის გუნდი უახლოესი 5 წლის განმავლობაში 60 მილიონ დოლარს მიიღებს. უკვე განხორციელდა ინვესტიციების პირველი ეტაპი. აბრამოვიჩი, როგორც ჩანს, უკმაყოფილო იყო მწვრთნელ ჟორჟის ბოლოდროინდელი მუშაობით, სწორედ ამიტომ დაჩქარდა პორტუგალიელის წასვლა ცსკა-დან.



არმიის კლუბის ხელმძღვანელობა ვერ შეაჩერა იმ გარემოებამაც, რომ სულ რაღაც ერთი თვე დარჩა ჩემპიონთა ლიგის მატჩებამდე. რუსები, ცხადია, შეეცდებიან, შარშანდელზე უკეთ ისპარეზონ, — 2003-2004 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მათ ერთი წრეც ვერ გადალახეს.

რაც შეეხება ვალერი გაზაევს, ცსკა-ს მთავარი მწვრთნელობიდან გადადგომის შემდეგ, ის ისვენებდა და შეიძლება ითქვას, მრავალთვიანი „შვებულებიდან“ დააბრუნეს.

## მსოფლიო ნაკრებში მიხაელ შუმახერი თამაშობდა

პორტუგალიის ქალაქ ფარიეში შედგა საქველმოქმედო მატჩი პორტუგალიისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებ გუნდებს შორის. პორტუგალიის ნაკრებში, რომელსაც ლუის ფელიპე სკოლარი ხელმძღვანელობდა, თამაშობდნენ ის ფეხბურთელები, რომლებმაც ევროპის 1991 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგეს, – ფიგუ, ფერნანდო კოუტუ, რუი კოშტა და სხვები. „ოქროს თაობა“ გააძლიერა კრისტიან რონალდომ.

რაც შეეხება მსოფლიო ნაკრებს, ამ უკანასკნელს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი ედგა სათავეში. გუნდში თამაშობდნენ ფრანკ დე ბური, ფერნანდო მორიენტესი, ბრაზილიელი რონალდო, აგრეთვე, „ფორმულა-1“-ში მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, „ფერარის“ პილოტი მიხაელ შუმახერი, რომელსაც ძალიან იტაცებს სპორტის ეს სახეობა და თავისუფალ დროს მუდამ ბურთის გორებაშია. მატჩი დასრულდა ფრედ – 3-3. ქველმოქმედებით შემოსული თანხა გადაეცა ლუიშ ფიგუს მიერ შექმნილ ფონდს, რომელიც გაჭირვებულ ბავშვებს ეხმარება.

## ზაგორაკისი «ლევანტეში»

საბერძნეთის ნაკრების კაპიტანი, ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული თეოდორ ზაგორაკისი მოლაპარაკებას აწარმოებს ესპანურ „ლევანტესთან“. ბერძენის ბედი უახლოეს დღეებში გადაწყდება. აქვე გეტყვით, რომ „ლევანტემ“ ესპანეთის პრიმერადივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვა.

## ხრისტო სტოიჩკოვი ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია

ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშნა წარსულში ამ ქვეყნის საფეხბურთო ვარსკვლავი ხრისტო სტოიჩკოვი. მისი კონტრაქტი ორი წლით განისაზღვრა.

## ბატისტუტა კარიერას არგენტინაში აგრძელებს?



არგენტინელი ფეხბურთელი გაბრიელ ბატისტუტა, რომელიც ამჟამად კატარის საფეხბურთო კლუბ „ალ-არაბიში“ ასპარეზობს, არ არის გამორიცხული, სამშობლოში დაბრუნდეს, — „ბატიგოლის“ არგენტინული კლუბია „სან ლორენსო“. გარდა ამისა, 35 წლის გაბრიელ ბატისტუტას გადაბირებით დაინტერესებულია იტალიური „ფიორენტინაც“, რომელიც წელს სერია „ა“-ში ითამაშებს.

## „რეალი“ ყოველწლიურად იყიდის „ვარსკვლავებს“

მადრიდის „რეალის“ ხელახლა არჩეული პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი აპირებს, გუნდისთვის ყოველწლიურად შეიძინოს ახალი „ვარსკვლავები“.

„ჩემი პროფესიის ადამიანისათვის წარმატება ის არის, რომ მოიგო დიდი პრიზი და ყოველწლიურად შეიძინო ახალი „ვარსკვლავები“. მე კვლავ გავაგრძელებ ჩემს პოლიტიკას და მჯერა, რომ „რეალი“ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევს“, – ამბობს პერესი.

## რონალდო 2006 წელს დატოვებს „რეალს“

ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავმა, მსოფლიოს ჩემპიონმა რონალდომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებს მადრიდის „რეალს“. საინტერესოა, რომ „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა გამოთქვა სურვილი გააგრძელოს ბრაზილიელ ფორვარდთან 2006 წლამდე დადებული კონტრაქტი. ამასთან დაკავშირებით, რონალდომ განაცხადა: „2006 წლამდე გუნდის გამოცვლას არ ვაპირებ, სწორედ ორ წელიწადში დავტოვებ „რეალს“. კონტრაქტის გაგრძელებაზე საუბარი ზედმეტია“.

# ნბა

## შაკილ ო'ნილი მწვრთნელს ამართლებს

ცნობილია, რომ ნბა-ს ვარსკვლავმა შაკილ ო'ნილმა მიატოვა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“ და ახალი სეზონიდან „მაიამიში“ ითამაშებს. შაკილი უკვე გადაბარგდა მაიამიში და იქ ახალი ვილის ყიდვასაც აპირებს. მისი განცხადებით, „ლეიკერსის“ ბოლოდროინდელი წარუმატებლობა მწვრთნელის ფილ ჯექსონის ბრალი არ არის.

— „ფილ ჯექსონმა „ლეიკერსს“ სამჯერ მოაგებინა ნბა-ს ჩემპიონის ტიტული. არ არიან მართლები ისინი, ვინც ბოლო სეზონში, ფლეი-ოფის ფინალში დამარცხებას ჯექსონს აბრალებენ“, — ამბობს შაკილ ო'ნილი.

ის თვლის, რომ გუნდში არ იყო ნორმალური ატმოსფერო, — კობი ბრაიანტი კი დაადანაშაულა ზედმეტ ამბიციურობაში.

## მაგდალენა მალეევა გათხოვდა

29 წლის ბულგარელი ჩოგბურთელი მაგდალენა მალეევა გათხოვდა. ის ცოლად გაჰყვა თავის თანამემამულე მეგობარს ლიუბომირ ნოკოვს. ჩოგბურთელი ცდილობდა, მისი ქორწილი შეუმჩნეველი დარჩენილიყო საინფორმაციო საშუალებებისათვის, მაგრამ ვერ მოახერხა.

მალეევასა და ნოკოვის ქორწილი პატარა დაბა ლოზენეცში შედგა. მაგდალენას მიერ წვეულებაზე მიპატიჟებულ სტუმართა შორის იყვნენ ჩოგბურთელები სონია ჯეისილანი (კანადა) და კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი).

აქვე გეტყვით, რომ თავის 15-წლიან საჩოგბურთო კარიერაში მალეევამ 10 საჩოგბურთო ტურნირი მოიგო.

## ლენოქს ლიუისმა ტელესერიალებისათვის მოიცალა

მიმდინარეობს ამერიკული ტელესერიალ „სასამართლოს“ გადაღებები. საინტერესოა, რომ ტელესერიალში მონაწილეობენ ცნობილი მოკრივეები ლენოქს ლიუისი, რონალდ რაიტი, ლუ ზავარეზე და ჯამილ მაკლაინი.

ტელესერიალის სიუჟეტი ვითარდება კრიმინალური ისტორიის მიხედვით.

## ინტერვიუ ჩემპიონთან

# უზბეკმა კასიმჯანოვმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო

### ახლა მას კასპაროვთან მატჩიელის



ლიბიის ქალაქ ტრიპოლიში უზბეკი მოჭადრაკის რუსტამ კასიმჯანოვის გამარჯვებით დასრულდა ფიდეს მიერ ორგანიზებული მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა შორის. ფინალურ მატჩში კასიმჯანოვის მეტოქე იყო ცნობილი ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ ადამსი. შეხვედრის ძირითადი ნაწილი ფრედ 3-3 დასრულდა, ტაი-ბრეიკში კი პირველი პარტია უზბეკმა მოჭადრაკემ მოიგო. ადამსს მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა. აუცილებლად უნდა გაემარჯვა მეორე პარტიაში. თუმცა მოხდა ისე, რომ ინგლისელმა თავად შესთავაზა ყაიმი კასიმჯანოვს და მსოფლიო ჩემპიონობაც მიულოცა.

უნდა ითქვას, რომ კასიმჯანოვის ჩემპიონობა არ არის „სრულყოფილი“. მას ახლა საჭადრაკო სამყაროს გამაერთიანებელი ნახევარფინალური მატჩი ელის გარი კასპაროვთან. სპეციალისტები, უპირატესობას, რაღა თქმა უნდა, ამ უკანასკნელს ანიჭებენ. გთავაზობთ რუსტამ კასიმჯანოვის მიერ „სპორტ-ექსპრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუს:

— არავინ ელოდა ჩემგან ასეთ წარმატებას, — ამბობს რუსტამი, — მთელი უზბეკეთი გულშემატკიერობდა. ტურნირში გამარჯვების შემდეგ მისალოცი დეპეშა გამომიგზავნა უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა. საინტერესოა, რომ ფინალური მატჩის დროს ისინიც ჩემი გულშემატკივრები იყვნენ, რომლებთანაც მანამდე მითამაშია ამ ტურნირში. ის კი არა, ზოგიერთი მათგანი სადებიუტო მომზადებაში მეხმარებოდა კიდეც.

● *ამბობენ, რომ ტრიპოლიში მარტოდმარტო ჩამოხვედით, — მწვრთნელის გარეშე...*

— მართალია, ბოლო პერიოდში თავად ვემზადებოდი.

● *თავად თუ ელოდით ასეთ წარმატებას?*

— სიმართლე გითხრათ, პირველი ორი წრის გავლა ჩემი პროგრამა-მაქსიმუმი იყო. როცა შევიტყვე, რომ მესამე წრეში ივანჩუკს ვხვდებოდი, ვგეგმავდი ღირსეული წინააღმდეგობის გაწევას. ამის იქით არავითარი გეგმები არ მქონია, — სიზმრადაც კი... ვერ წარმოვიდგენდი, რომ დავამარცხებდი ისეთ ფავორიტებს, როგორებიც არიან ივანჩუკი, გრიშჩუკი, ტოპალოვი და ადამსი.

● *ადამსთან შეხვედრის დროს რას გრძნობდით?*

— არ მინდოდა დამარცხება ტაი-ბრეიკში, სწრაფ ჭადრაკში ყოველთვის კომფორტულად ვგრძნობ თავს. რაკი ადამსთან მატჩის დროს ტაი-ბრეიკამდე მივიდა საქმე, უკან აღარ დავიხიე.

● *საერთო ჯამში, თქვენი წარმატება ლიბიაში მსოფლიო ჩემპიონატზე რა არის — ბედნიერი შემთხვევა?*

— ალბათ. შეიძლება იმის თქმაც, რომ ფორტუნამ გამიღიმა. ჩემთვის ერთი რამ არის ნათელი, — არ უნდა. დანებდე, არ დაიხიო უკან, ბოლომდე იბრძოლო და გამარჯვებასაც მიაღწევ.

● *მსოფლიო ჩემპიონატამდე რომელ ტურნირში იასპარეზეთ?*

— ლუქსემბურგის საჭადრაკო შეჯიბრში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების ეტაპად გამოვიყენე.

● *კარგად თამაშობთ სწრაფ ჭადრაკს. კი მაგრამ, რატომ არ იასპარეზეთ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატში სწრაფ ჭადრაკში?*

— ტურნირის ორგანიზატორებს რომ მივეწვიე, აუცილებლად ვითამაშებდი.

● *აწი თუ გაქვთ იმედი, რომ ძლიერ ტურნირებში მიგიწვევენ?*

— ალბათ, ასეც იქნება. მით უმეტეს, რომ ფიდეს მსოფლიო ჩემპიონობა ბევრს ნიშნავს.

● *რუსტამ, გვითხარით ცოტა რამ თქვენი ბიოგრაფიიდან...*

— დავიბადე და გავიზარდე ტაშკენტში. ჩემი მშობლები ქიმიის მასწავლებლები არიან. 6 წლის ასაკში ძმამ მასწავლა ჭადრაკის თამაში. მახსოვს პირველი საჭადრაკო წიგნი ნიკოლაი ჟურავლიოვის ავტორობით „ნაბიჯ-ნაბიჯ“. 1990 წელს, 10 წლის ასაკში მოვიგე უზბეკეთის იუნიორთა (!) ჩემპიონატი.

● *როგორ, 10 წლისამ 18 წლის მოჭადრაკეებს აჯობეთ? დიდოსტატის ნორმატივი როდის შეასრულეთ?*

— 16 წლისა ოსტატი გავხდი, ორი წლის შემდეგ — დიდოსტატი.

● *ამჟამად სად ცხოვრობთ?*

— მეუღლესთან, ფარუზასთან და ვაჟიშვილთან ერთად ამჟამად გერმანიაში ვცხოვრობ. ამის მიუხედავად, კვლავ უზბეკეთის დროშის ქვეშ ვთამაშობ. ვაპირებ ჩემი ქვეყნის ღირსება დავიცვა საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელსაც ესპანეთი მასპინძლობს.

● *ვინ იყო თქვენი კერპი ჭადრაკში?*

— რობერტ ფიშერი. მის პარტიებში დიდებული საჭადრაკო აზროვნებაა. როცა მათ ვარჩევ, უდიდეს სიამოვნებას ვღებულობ.

● *როგორ ფიქრობთ, თქვენს მიერ გარი კასპაროვის დამარცხება რეალურია?*

— ვფიქრობ, — არა, თუმცა ასე ვფიქრობდი ტოპალოვთან და ადამსთან შეხვედრების წინ.

● *თქვენ ორჯერ შეხვდით გარი კასპაროვს. ერთხელ — ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირში, მეორედ — „ევროპა“ — „აზიას“ მატჩის დროს. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ მასზე?*

— იმ პარტიებში დამთრგუნა არა მისმა სიძლიერემ, არამედ, — საკუთარმა სისუსტემ. ეს, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიური მომენტია. ახლა კი გარისთან ისევე ვითამაშებ, როგორც ამას ლიბიაში ვაკეთებდი.

● *როგორ მოემზადებით გარი კასპაროვთან მატჩისათვის?*

— მსურს ბევრ ტურნირში ვითამაშო. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ სადებიუტო რეპერტუარს.

● *მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებისათვის 100 ათასი დოლარი მიიღეთ...*

— ეს თანხა გადასახადების გამოკლებით გარკვეულწილად შემცირდა. თუმცა, ამდენი თანხა ტურნირიდან არასდროს მიმიღია.

● *რაში დახარჯავთ ამდენ ფულს?*

— ჯერ არ ვიცი.

● *გსურთ, რომ თქვენი ვაჟიშვილიც მოჭადრაკედ გაიზარდოს?*

— რატომ? ეს ძალიან ძნელი პროფესიაა. ვფიქრობ, ოჯახში ერთი მოჭადრაკეც საკმარისია.

● *რა გიტაცებთ ჭადრაკის გარდა?*

— წიგნების კითხვა უზბეკურ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე.

● *კიდევ?*

— ჩინური ჭადრაკი. მეტად საინტერესო სახეობაა.

● *დასასრულ, ლიბია როგორ მოგეწონათ?*

— ტრიპოლიში თავს საკუთარ სახლში ვგრძნობდი. ეს ქალაქი ძალიან მაგონებს ტაშკენტს. ისე, თუ კასპაროვთან მატჩიც ტრიპოლიში ჩატარდება, ეს ჩემთვის უკეთესი იქნება.

## დევენპორტი ჩოგბურთიდან წასვლას აპირებს

ამერიკელმა ჩოგბურთელმა ლინდსეი დევენპორტმა განაცხადა, რომ ის ახლოს არის კარიერის დასრულებასთან. ამის მიზეზი არის მუხლის ტრავმა, რომელიც ჩოგბურთელს ბოლო პერიოდში აწუხებს.

„იძულებული ვარ, ოლიმპიური თამაშები გამოვტოვო და შემდგომში თუ მთელი ძალით ვერ ვითამაშებ, მაშინ კარიერასაც დავასრულებ“, — განაცხადა დევენპორტმა.

## კირსან ილიუმჟინოვი დიდოსტატის წოდებებს არიგებს



ტრიპოლიში მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა ლიბიის ლიდერს მუამარ კადაფის... დიდოსტატის წოდება მიანიჭა. ფიდეს ხელმძღვანელმა ასეთი უცნაური გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ მსოფლიო ჩემპიონატი პირველად ჩატარდა აფრიკაში და ეს ლიბიის ლიდერმა ითავა. დიდოსტატის წოდება მიენიჭა აგრეთვე მუამარ კადაფის შვილს — მუჰამედს, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტია.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**16 ივლისი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** ჩოგბურთი. დევისის თასი. საქართველო — ეგვიპტე (12.15, 14.15). **იმედი.** პროგრამა „ესტაფეტა“ (11.05). ***НТВ плюс футбол.*** უკრაინის ჩემპიონატი (12.15), გავიხსენოთ განვლილი სეზონი (16.00, 23.00). ბრაზილიის ჩემპიონატის მიმოხილვა (19.50, 1.45). ჩემპიონთა ლიგის არქივი. 2000-01 სეზონი. „რეალი“ — „ლიდსი“ (21.20). რუსეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.45). კალათბურთი. ნბა (3.00-9.00). ***НТВ плюс спорт*** ჩოგბურთი. „ატრ“-ის მიმოხილვა (13.35, 14.55). საუკუნის ათლეტები (14.05, 20.15). სპორტული გლობუსი (19.15, 0.30). „ნოკაუტი“ (19.45, 1.00). ფრენბურთი. მსოფლიო სერიის გრან-პრი (21.30). საცხენოსნო სპორტი (23.00). EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30, 14.00, 1.15). ფეხბურთი. 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (12.00). ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (14.30, 15.00). ყველაზე ღონიერი ადამიანები. ჩემპიონები (23.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.45). საბრძოლო ხელოვნება. პარიზი-ბერსი (2.00).

**17 ივლისი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** ჩოგბურთი. დევისის თასი. საქართველო — ეგვიპტე (12.15, 15.15). **რუსთავი-2.** სიდნეის ოლიმპიადა (15.20). ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი (12.15, 16.30 22.30). ჩემპიონთა ლიგის არქივი. 2000-01 სეზონი. „რეალი“ — „ლიდსი“ (14.00), „სპარტაკი“ — „ლიონი“ (20.15). კალათბურთი. ნბა (3.00-9.00). ***НТВ плюс спорт*** კანადის თასიდან მსოფლიო თასამდე (13.00). „ნოკაუტი“ (13.30). ჩოგბურთი. „ატრ“-ის ტურნირი (14.55). „დიდი რინგი“ (19.15). საცხენოსნო სპორტი (22.40). ფრენბურთი. მსოფლიო სერიის გრან-პრი. ქალები. რუსეთი — კუბა (0.15). ფეხბურთი. ამერიკის თასი. მეოთხედფინალი (1.55, 4.40). EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.00, 1.15). საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 12.30, 2.00). ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (13.30, 14.00, 0.00). კრივი. პროფესიონალები (20.00). ოლიმპიური თამაშები. მისია — ათენი (21.30). ფეხბურთი. უეფას თასი. ინტერტოტო (22.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.45). ჩოგბურთი. „ვტა“-ს ჩემპიონატი (3.00).

**18 ივლისი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** ჩოგბურთი. დევისის თასი. საქართველო — ეგვიპტე (12.15, 15.15). **იმედი.** პროგრამა „ასი“ (18.00). ***НТВ плюс футбол.*** ფეხბურთი. ამერიკის თასი. მეოთხედფინალები (12.15, 19.50, 23.55). ბრაზილის ჩემპიონატი. „სან-პაულუ“ — „ფიგეირენსე“ (16.00). ჩემპიონთა ლიგის არქივი. 2000-01 სეზონი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბავარია“ (17.45). „ფუტბოლ მუნდიალი“ (23.20). კალათბურთი. ნბა (3.00-9.00). ***НТВ плюс спорт*** საუკუნის ათლეტები (14.00). ჩოგბურთი. „ატრ“-ის ტურნირი (14.55), საჭადრაკო მიმოხილვა (18.30), ჩოგბურთი. „ატრ“-ის ფინალი (21.30). საცხენოსნო სპორტი. (23.00). ფრენბურთი. მსოფლიო სერიის გრან-პრი. ქალები. რუსეთი — გერმანია (0.30). ფეხბურთი. ამერიკის თასი. მეოთხედფინალი (4.55). EUROSPORT. საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (10.30, 2.45). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 1.00). მოტოსპორტი. გრან-პრი (12.00, 12.30, 13.00, 14.15, 15.30). ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (17.00). საბრძოლო ხელოვნების ოსტატები (20.00). ფეხბურთი. 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი (22.00). ევროსპორტის ახალი ამბები (1.45). ჩოგბურთი. „ვტა“-ს ჩემპიონატი (2.00).

## კროსვორდი №56

**თარაზულად:** 1. ცნობილი ქართველი სპორტსმენის მთავარი როლი ერთ-ერთ ქართულ კინოფილმში, 4. ბიბლიური ქალი, 7. ფეხბურთელი — წარსულში „დინამოს“ მეკარე, 8. მეტალი, რომლისგან სპორტულ მედალსაც ამზადებენ, 9. ტურისტთა და ალპინისტთა თავშესაფარი, 10. ცეკვაში რიტმული მოძრაობა, ნაბიჯის გადადგმა, 12. სპორტული შედეგი, რომელიც განსხვავდება მოგება-წაგებისგან, 13. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 16. იტალიელთა თავდამსხმელი ფეხბურთში ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე, 17. სათაყვანო სპორტსმენი, 20. ერთ-ერთი ხმა ქართულ სიმღერაში, 21. შეჯიბრების დაწყების ნიშნის მიმცემი მძლეოსნობაში, რბოლებში... 24. პროვინცია ჩინეთში, 25. ლეგენდარული საფეხბურთო მწვრთნელი, მოღვაწეობდა საფრანგეთში და იტალიაში, 26. პროფესიონალი მოკრივე, მუჰამედ ...




**შვეულად:** 1. უძლები, დაშურებული, მსუნაგი, 2. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 3. ცხენოსნის შარვალი, 4. ხანა, პერიოდი, 5. აზერბაიჯანის პრეზიდენტი, 6. ფეხბურთში მსოფლიო ექსჩემპიონი ერთ-ერთი ქვეყანა, 7. ებრაელთა მხსნელი, 9. შეფასება ძიუდოში, 11. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე ქართველი ქალი, 14. შეჯიბრების მეორე-მესამე ადგილოსანი, 15. ქართველი ძალოსანი, ოლიმპიელი, 18. ძალოსნობაში ორჭიდის სახეობა, 19. ფალავნების სამოსი, ფალავნების საცმელი, 22. წარსულში ცნობილი ფეხბურთელისა და მსაჯის სახელი, 23. სოფელი შიდა ქართლში.

მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძემ

## №55 კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კიი, 2. კოშტა, 4. უშბა, 7. რუ, 9. ნებიოლო, 11. აუტი, 13. ასტი, 15. „ყორები“, 17. ...ნაძე, 18. ჩოსიჩი, 19. „თორი“, 20. ძრავა, 22. რე, 24. სენა, 26. რაუ, 27. აკვრა, 30 კეტაშვილი, 31. ...ლო, 32. უნი.

**შვეულად:** 1. კორია, 2. კუ, 3. შანიძე, 5. „...მალკე“, 6. ლი, 8. მაიგაშირა, 10. ბოყოჩაძე, 12. ფილია, 14. სიმეონე, 16. ჩასლავკა, 21. აპრილი, 23. რალი, 24. სოკი, 25. ნეტო, 28. ეში, 29. „პიუ“.

## საჭადრაკო ამოცანა

ეძღვნება ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის 10 წლის იუბილეს

ნიკოლოზ გავაშელაშვილი (ზესტაფონი)



წარმოიდგინეთ დაფაზე ცალ-ცალკე ჯერ ციფრი „1“ და შემდეგ ციფრი „2“ და ისე ამოხსენით ეს ორი ამოცანა. ორივე შემთხვევაში შამათი 2 სვლაში

№55-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ლg3! 1. ....მფ:c3 2. ლ:e3X, 1. ...... მe5 2. ლ:e3X, 1. ... მe---. 2. ეc4X, 1. ...... მg-- 2. ლg7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე